პროლეტარებო ყველა ქვეყნისა. შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 20 (9796) | კვირა, 24 იანვარი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა საქართველოს დღე. (1-ლი გვერდი).
მოსკოვი (მე-2 გვერდი).
კომკავშირული ცხოვრება. — კომკავშირელები საკოლმეურნეო შრომის ავანგარდში. (მე-2 გვერდი).
საკოლმეურნეო სოფლებში. (მე-2 გვერდი).
მეტი ფართო მოხმარების საქონელი მოსახლეობას. (მე-2 გვერდი).
დ. ლომთაძე, ვ. თორდუა. — დღეს კახოვკაში. (მე-2 გვერდი).
ვ. მ. მოლოტოვი ბერლინს ჩავიდა. (მე-3 გვერდი).
მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიის laureatebi. — ანდრეა ანდრეევი. (მე-3 გვერდი).
ა. ალექსანდროვი. — საერთაშორისო მიმოხილვა. (მე-3 გვერდი).
უშიშროების საბჭოში. (მე-4 გვერდი).
გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა — მინისტრთა საბჭოს სხდომა. (მე-4 გვერდი).
საფრანგეთის დემოკრატიული საზოგადოებრიობის გამარჯვება. (მე-4 გვერდი).
სპორტის ახალი ამბები. (მე-4 გვერდი).

მივცეთ სამშობლოს მეჯი პროდუქცია საწარმოო შაროობის გაუდიდებლად

ჩვენი ქვეყნის საწარმოებში ახალი ძალით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად, 1954 წლის საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარებისათვის.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის შემდგომი აღმავლობის უზრუნველსაყოფად მიიღეს უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებანი, რომელთა განხორციელება გამოიწვევს სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრ გადიდებას, სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას, საბჭოთა ვაჭრობის გადაჭრით გაუმჯობესებას, საქონელბრუნვის დიდ ზრდას, საბინაო მშენებლობის მნიშვნელოვან გაფართოებას. ეს გადაწყვეტილებანი მოასწავებენ ახალ ეტაპს საბჭოთა ეკონომიკის განვითარებაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების დღეებში საწარმოებში ახალი ძალით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება თვითეულ კვადრატულ მეტრ საწარმოო ფართობზე პროდუქციის გამოშვების მაქსიმალურად გადიდებისათვის, ხარისხის გაუმჯობესებისათვის, თვითღირებულების შემცირებისათვის.

ახალი სამეურნეო წლიდან ბევრი საწარმოს კოლექტივი ეძებს იმის შესაძლებლობას, რომ მრეწველობის პროდუქციის მოცულობა გაზარდოს საწარმოო ფართობის გაუდიდებლად, წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესებისა და მოწყობილობის რაციონალური გამოყენების გზით. გასული წლის შედეგები მეტყველებენ ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკთა საგულისხმო გამოცდილებაზე. ბევრი ქარხნის კოლექტივმა შარშან თვითეულ კვადრატულ მეტრ საწარმოო ფართობზე ერთიორად მეტი პროდუქცია გამოუშვა, ვიდრე 1940 წელს. მუშათა შრომის ნაყოფიერება ომამდელ დონესთან შედარებით ერთისამად გადიდდა, პროდუქციის თვითღირებულება მნიშვნელოვნად შემცირდა.

შრომის სწორად მოწესრიგებისა და საწარმოო ფართობის უნარიანად გამოყენების საქმეში ძვირფასი გამოცდილება შეიძინა თბილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკის კოლექტივმა. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე აქ პროდუქციის გამოშვება 20,4 პროცენტით გადიდდა, მნიშვნელოვნად ამაღლდა მისი ხარისხი და გაფართოვდა ასორტიმენტი. 1953 წელს ფაბრიკის კოლექტივმა შესანიშნავი წარმატებები მოიპოვა: წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, დაზოგა 56,1 ტონა ნედლეული, 1.494 ტონა საწვავი და 675 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, დაზოგილი ნედლეულით გამოუშვა 87 ათასი მეტრი ქსოვილი და სახელმწიფოს მისცა ასეულ ათასობით მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

ახალი წლის დამდეგს ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა გასულ წელთან შედარებით სამშობლოს მისცეს 52 მილიონი მანეთისაზე მეტი პროდუქცია. ამ ვალდებულების შესრულებისათვის ფიქრებმა ფართოდ გააჩაღეს შეჯიბრება თვითეულ კვადრატულ მეტრ საწარმოო ფართობზე პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის, ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის, აგრეთვე მიიღეს მტკიცე გადაწყვეტილება დაზოგონ დიდძალი ნედლეული, ელექტროენერგია, სათბობი, დამხმარე პროცესების მექანიზაციის შედეგად გაათავისუფლონ მუშახელი წარმოების სხვა უბნებზე გამოსაყენებლად.

წარმოების ტექნიკისა და ეკონომიკის გაუმჯობესების საკითხებს დიდ ყურადღებას აქცევს თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის კოლექტივი. 1950 წელთან შედარებით 1953 წელს აქ საწარმოო ფართობის გაუდიდებლად ერთიორად მეტი პროდუქცია გამოუშვეს, წლიური გეგმის შესრულებასთან ერთად პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზით 227 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება მიიღეს. ეს შედეგები მიღწეულია უწინარეს ყოვლისა მოწყობილობის სრულად გამოყენების, ლითონის დამუშავების ტექნოლოგიის გაუმჯობესების, ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობით ხარჯვის მეოხებით.

ახალი წლისათვის მზადების დროს გამოარკვიეს ის მიზეზები, რაც ხელს უშლის საწარმოო ფართობისა და მდიდარი ტექნიკის უფრო გონივრულად გამოყენებას. ამის შედეგად ქარხნის კოლექტივის წინაშე 1954 წლისათვის ახალი შესაძლებლობები გადაიშალა. ჩარხმშენებლებმა იკისრეს 1954 წელს გასულ წელთან შედარებით 15,9 პროცენტით გაადიდონ ჩარხების გამოშვება.

ფაქტები ცხადყოფენ, რომ მოწინავე საწარმოთა გვერდით ჯერ კიდევ არიან ისეთი საწარმოები, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე ვერ ასრულებენ სახელმწიფო გეგმას, ხოლო თუ ასრულებენ, ამას აღწევენ „იერიშობანის“ გზით, დიდი საწარმოო დანაკარგების ფასად. ეს ხდება იქ, სადაც ნაკლებად ზრუნავენ შრომის სწორი ორგანიზაციისა და ტექნიკის ნაყოფიერად გამოყენებისათვის. ასეთი მდგომარეობაა, მაგალითად, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მაღაროებში. მიუხედავად იმისა, რომ მარგანეცის გამოღებისა და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გასული წლის გეგმა შესრულდა, ვორო„შილოვის, ორჯონიკიძისა და დიმიტროვის სახელობის მაღაროები ვერ ასრულებენ პირველი ხარისხის მარგანეცის გამოშვების გეგმას, ადიდებენ პროდუქციის თვითღირებულებას. თვით„ მოწინავე მაღაროშიც — ლენინის სახელობის მაღაროში — ვერ მუშაობენ გამართულად, რიტმულად. იქაც ორი უბანი და რამდენიმე ცვლა სისტემატიურად ვერ ასრულებს დავალებას. ყველაფერი ეს იმის შედეგია, რომ მარგანეცის მრეწველობაში ნაკლები ყურადღება ექცევა რაციონალიზატორული მუშაობის გაშლას, მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებას, მექანიზმების სრული სიმძლავრით გამოყენებას.

ასევე არარიტმულად მუშაობენ ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის შახტებში. საექსპლოატაციო უბნების მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ ასრულებს ქვანახშირის ამოღების გეგმას. ეს იმის მიზეზია, რომ ციკლურობის გრაფიკზე ზოგჯერ გადაჰყავთ სრულიად მოუმზადებელი სანგრევები, რაც იწვევს გრაფიკის ჩაშლას. სამთო სამუშაოებისადმი სუსტი ტექნიკური ხელმძღვანელობისა და არასისტემატიური კონტროლის შედეგად დიდი ხნის განმავლობაში ციკლურობის გრაფიკზე გადაყვანილი სანგრევები ვერ მუშაობენ გამართულად.

არსებული საწარმო ფართობის საუკეთესოდ გამოყენებისათვის, შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ღვიძლი საქმეა. მათ ყოველდღიურად უნდა უხელმძღვანელონ მასების სოციალისტურ შეჯიბრებას, აქტიურად დაუჭირონ მხარი წარმოების მოწინავე ადამიანთა შემოქმედებითს თაოსნობას, უზრუნველყონ თვითეულ კვადრატულ მეტრ საწარმოო ფართობზე პროდუქციის გამოშვების გადიდება.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი ბერლინს გაემგზავრა

23 იანვარს საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი მოსკოვიდან თვითმფრინავით გაემგზავრა ბერლინს სსრ კავშირის, საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირში მონაწილეობის მისაღებად და იმავე დღეს ჩავიდა ბერლინს. (საკდესი).

25 იანვარს, საღამოს 8 საათზე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიის ისტორიის ინსტიტუტში — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის ფილიალში (რუსთაველის პროსპექტი, 29) შედგება სამეცნიერო სესია, მიძღვნილი

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 30 წლისთავისადმი

სესიაზე წაკითხულ იქნება შემდეგი მოხსენებანი: 1. **ვ. ესაიაშვილი** — ვ. ი. ლენინი კომუნიზმის დიდი თეორეტიკოსი. 2. **ლ. ებანოიძე** — ვ. ი. ლენინი ხალხთა მეგობრობის, როგორც საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ძლიერების წყაროს შესახებ. 3. **ნ. მახარაძე** — ვ. ი. ლენინი საქართველოში სოციალისტური მშენებლობის ამოცანების შესახებ.

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★ ★

კომკავშირელთა თაოსნობა

ქარელი. (საკ. კორ.). აქ გაიმართა რუისის მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობათა მოწინავე კომკავშირელების შეკრება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიული დადგენილების განხორციელების საქმეში სოფლის ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ მოხსენება გააკეთა პარტიის რაიკომის მდივანმა მტს-ის ზონის მიხედვით ამხ. შ. კოპაძემ.

რუისის მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობათა მოწინავე კომკავშირელების შეკრებამ ვალდებულება აიღო და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია აგარის მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობათა კომკავშირელები და სოფლის ახალგაზრდობა.

შეკრების მიერ მიღებულ მიმართვაში კომკავშირელებმა ვალდებულება იკისრეს ყოველმხრივ შეუწყონ ხელი კოლმეურნეობათა გამგეობებს და მტს-ების მექანიზატორებს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლის მიღებისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეში; საგაზაფხულო სამუშაოთა დაწყებაზე 20 დღით ადრე ტექნიკურ მზადყოფნაში მოიყვანონ მთელი საჭირო იარაღ-მანქანები; მექანიზმების სრული დატვირთვით გამოყენების მიზნით მოაწყონ ორცვლად მუშობა და დანერგონ საათობრივი გრაფიკი; დაზოგონ საწვავ-საცხები მასალის 5 პროცენტი; საგაზაფხულო სამუშაოები შეასრულონ ვადამდე—აგროტექნიკის დაცვით; შეარჩიონ და მექანიზატორთა სკოლებში და კურსებზე გაგზავნონ საუკეთესო კომკავშირელები და ახალგაზრდები; ხელი შეუწყონ მექანიზატორებს კოლმეურნეობათა ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის განხორციელებაში.

აითვისეს ახალი პროდუქცია

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ტრესტის მთავარი მექანიკური სახელოსნოს კოლექტივმა აითვისა ცენტრიდანული ტუმბოების დამზადება, რაც წინათ აქ სხვა ქარხნებიდან შემოჰქონდათ. ტუმბოებს იყენებენ მარგანეცის მრეწველობაში, აგრეთვე სოფლის მეურნეობაში, ღვინის ქარხნებში, სასოფლო წყალსადენებისათვის და სხვ.

ამჟამად სახელოსნოს კოლექტივი მუშაობს ახალი მარკის უფრო მძლავრი ტუმბოების დასამზადებლად.

სახელოსნოს კოლექტივმა აითვისა და მომავალ აზრბაიჯანის სს რესპუბლიკის საწარმოებს დაუმზადა ბუნერების პნევმატური საკეტები.

სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა რაიონული თათბირი

ზუგდიდი. (საკ. კორ.). რაიონის მტს-ში გაიმართა სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა და მეცხოველეობის დარგის მუშაკთა თათბირი, რომელმაც განიხილა საკითხი — როგორ ხორციელდება რაიონის კოლმეურნეობებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილება.

თათბირზე აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომ განვითარებას, დაბალია პირუტყვის პროდუქტიულობა, სუსტად არის დანერგილი შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა აღსანიშნავად

48 ტონა შაქარი გეგმის გადამეტებით

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით აგარის შაქრის ქარხნის მუშა-მოსამსახურეების და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების საერთო კრებამ მიიღო ახალი საწარმოო ვალდებულებანი.

ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გეგმის გადამეტებით გამოუშვას 48 ტონა შაქარი, დაზოგოს 50.000 კილოვატსაათი ელექტროენერგია, შეამციროს თვითღირებულება და გაუმჯობესოს შაქრის ხარისხი.

ქარხნის მთავარი ინჟინერი ამხ. ჟორჟოლაძე, უფროსი ელექტრიკოსი ამხ. ქვრივიშვილი, მუშები ამხ. ლომუაშვილი და გავრილიუკი თავიანთ გამოსვლებში მოუწოდებდნენ ამხანაგებს აღებულ ვალდებულებათა ვადაზე ადრე შესრულებისაკენ.

თევზის ქარხნის მექანიზაცია

ფოთი. (საკ. კორ.). თევზის ქარხანა წლების განმავლობაში ხშირად გეგმებს ვერ ასრულებდა. ქარხანაში მექანიზაციის ფართოდ დანერგვის შემდეგ გასული წლის გეგმა 25 დეკემბრისათვის 180 პროცენტით შესრულდა. მომხმარებლებმა გეგმის ზევით 5.700 ცენტნერი თევზის ნაწარმი მიიღეს.

შარშან ქარხანასთან გაკეთდა ახალი ნავმისადგომი, სადაც თევზსაჭერი გემებიდან მექანიზებულად ხდება თევზის გადმოტვირთვა. მიმღებ-გადამმუშავებელი სამი დანადგარის მოწყობამ სამასი მუშა 24-ით შეცვალა და დიდად გაზარდა შრომის ნაყოფიერება.

დეკემბერში ამუშავდა თევზის მისაღებ-გადამამუშავებელი საამქრო სოფელ ანაკლიაში. საამქროს მშენებლობა 90 ათასი მანეთი დაჯდა.

დამთავრების პროცესშია მალთაყვის თევზის მიმღები და გადამმუშავებელი მთლიანად მექანიზებული საამქრო. მალე დაიწყება 100 ტონა ტევადობის მაცივრის მშენებლობა.

თევზის ქარხნის მექანიზაციაზე და ახალი საამქროების მშენებლობაზე 1953 წელს 365 ათასი მანეთი დაიხარჯა.

ქარხანა მექანიზაციის ფართოდ დანერგვით მნიშვნელოვნად გაადიდებს თევზეულის ასორტიმენტს.

რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ფოგოგამოფენა

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ტექნიკურ ბიბლიოთეკაში გაიხსნა რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ფოტოგამოფენა. აქ ფოტოფესტივალებით ფართოდ არის წარმოდგენილი ჩვენი ქვეყნის მანქანათმშენებელ საწარმოთა ნოვატორების მიღწევები.

გამოფენაზე მნახველთა ყურადღებას იპყრობს თვით ამ ქარხნის მოწინავე ადამიანების მიერ წარმოებაში დანერგილ რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა ნახატები. აღსანიშნავია ს. თათარიშვილის, გ. გორბატენკოსა და გ. ცინცაძის წინადადებები, რომელთაგან თვითეული საწარმოს წელიწადში ნებლებს.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ი. ე. მაკსარევის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის ტრანსპორტისა და მძიმე მანქანათმშენებლობის მინისტრის მოადგილის ამხ. ი. ე. მაკსარევის დაბადების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით და მანქანათმშენებლობის დარგში მისი დამსახურების აღსანიშნავად, ამხ. ხური ევგენის-ძე **მაკსარევი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი

მოსკოვი, კრემლი. 1954 წ. 22 იანვარი.

უკრაინის კომპარტიის XVIII ყრილობის მოწვევის შესახებ

კიევი, 21 იანვარი. (საკდესი). უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გადაწყვიტა 1954 წლის მარტში მოიწვიოს უკრაინის კომპარტიის მორიგი, XVIII ყრილობა.

საბჭოთა მეურნეობა სიცივის მსოფლიო პოლუსთან

ბალაგანახი (იაკუტიის ასსრ), 22 იანვარი. (საკდესი). ინდიგირკის ბალაგანახის საბჭოთა მეურნეობა იაკუტიის ერთ-ერთი ყველაზე ჩრდილოეთი მეურნეობაა. საბჭოთა მეურნეობის კარიდამოდან სიცივის მსოფლიო პოლუსი სულ ახლოს არის. აქ იცის მკაცრი ზამთარი 50-გრადუსიანი ყინვებით, ხანმოკლე ზაფხული. მაგრამ საბჭოთა მეურნეობის მშრომელებს წარმატებით მოჰყავთ ბოსტნეული, მოშენებული ჰყავთ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი. მინდვრებში ისეთი სითბოსმოყვარული კულტურებიც კი მწიფდება, როგორიც არის პამიდორი, კიტრი. გაზაფხულზე ინდიგირკის ნაპირებზე პირველად განახორციელებენ კარტოფილის თესვას კვადრატულ-ბუდობრივი წესით. ბოსტნეულის ჩითილის გამოსაყვანად უკვე დამზადებულია თითქმის ოთხი მილიონი ტორფ-ნეშომპალას ქოთანი.

ჩრდილოეთის საბჭოთა მეურნეობის ნათესი ფართობები იზრდება. ამჟამად ტაიგაში დაიწყო რამდენიმე ნაკვეთის — სულ 400 ჰექტარი ფართობის ამოძირკვა.

ნავთობსარეწებში

ბაქო, (საკდესი). ბაქოს სარეწებში დაიწყო სოციალისტური შეჯიბრება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად.

„ბუზოვნინეფტის“ ნავთობ ტრესტის მესამე სარეწში შეჯიბრების ინიციატორია ნავთობის ამოღების ახალგაზრდა ოსტატი მამედ ბაბაევი. მისმა ბრიგადამ იანვრის დამდეგიდან 80 ტონით გაადიდა ნავთობის სადღეღამისო ამოღება. დადგა რა არჩევნების აღსანიშნავ შრომითს ვახტზე, ბრიგადამ გუშინ ახალი საწარმოო წარმატებანი მოიპოვა. ახალგაზრდა ოპერატორებმა ნურალიევმა, ნოვრუზოვმა და მარტიროსოვმა, რომლებიც საათობრივი გრაფიკით მუშაობენ, ვადაზე მნიშვნელოვნად ადრე ჩააყენეს მწყობრში მომცდარი ჭაბურღილი.

სარეწის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა 14 მარტისათვის დავალების გადამეტებით ამოიღოს რამდენიმე ასეული ტონა საწვავი.

ალმა-ატის გურთულა საკისრები

ალმა-ატა, (საკდესი). ალმა-ატის სარემონტო-საკისრის ქარხანამ ირკუტსკის, ჩიტისა და ვორონეჟის ოლქებში, ხაბაროვსკის მხარესა და ურალში გაგზავნა ახალ წელიწადში გაკეთებული სატრაქტორო ბურთულა საკისრების დიდი პარტია.

საწარმო განუწყვეტლივ ადიდებს ბურთულა საკისრების წარმოებას. მეხუთე ხუთწლედის მანძილზე მათი გამოშვება ორნახევარჯერ გადიდდა.

ქარხნის კოლექტივი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დადგა.

1954 წლის პირველი ტირაჟი

24 იანვარს გაიმართება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მესამე სახელმწიფო სესხის მოგებათა ტირაჟი, რომელიც მიმდინარე წლის პირველი ტირაჟია.

გათამაშდება 508.816.400 მანეთის საერთო თანხის 1.892.750 მოგება.

ტირაჟი მოეწყობა აკმოლინსკში. (საკდესი).

ქალაქი—სოფელ ს

მეცნიერთა და მექანიზატორთა მეგობრობა

მცხეთა. (საკ. კორ.). მცხეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის საბჭოს სხდომაზე, რომელსაც დაესწრნენ კოლმეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარეები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირები, მოხსენებებით გამოვიდნენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორები.

პროფესორმა ნ. ხომიზურაშვილმა წაიკითხა მოხსენება თემაზე: „ხეხილის ბაღების მდგომარეობა რაიონის კოლმეურნეობებში“, პროფესორმა გ. ჯაფარიძემ — „რაიონის კოლმეურნეობებში მებოსტნეობის განვითარების საკითხისათვის“ და პროფესორმა მ. რამიშვილმა — „რაიონის კოლმეურნეობებში ვენახის მოვლის ზოგიერთი საკითხის შესახებ“.

მოხსენებათა შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

სავაგონო პარკის მუშაკები ეხმარებიან მტს-ს

გურჯაანი. (საკ. კორ.). რკინიგზის გურჯაანის სავაგონო პარკის მუშაკებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების პასუხად შეფობა იკისრეს გურჯაანის მტს-ზე.

შეფებმა მტს-ს უკვე შეუკეთეს ავტომანქანა. მისაბმელი იარაღ-მანქანები შესაკეთებლად 600-ზე მეტი ცალი ქანჩი და ჭანჭიკი დაუმზადეს, აგრეთვე მექანიზატორთა კანტორაში მოაწყეს მოწინავე ადამიანთა სურათების ვიტრინა.

მეცემენტეები — კოლმეურნეობებს

ქასპი. (საკ. კორ.). სტალინის სახელობის ცემენტის ქარხნის კოლექტივი ქასპის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის შეფია. შეფის დახმარებით ქასპელმა კოლმეურნეებმა კოპუური პროექტის მიხედვით ააგეს პირუტყვის სადგომი. მეცემენტეებმა აგრეთვე შეაკეთეს კოლმეურნეობის სატვირთო ავტომანქანა.

მეშიფერეები კვლავ საშეფო დახმარებას უწევენ სოფელ ქვემო ხანდაკის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობას, შეაკეთეს სატვირთო ავტომანქანა, 3 წყლის საქაჩავი ტუმბო, 2 ელექტრომძრავი.

მეტეხის აგურის ქარხანა საშეფო კოლმეურნეობას ეხმარება სოფლის რადიოფიკაციაში.

საქართველოს კომკავშირის XX ყრილობის დელეგატები (მარცხნიდან — მარჯვნივ) ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტი გ. გვარჯალაძე, ახალგაზრდა კომპოზიტორი ბ. კვირნაძე, ცხაკაიას რაიონის I მტს-ის მოწინავე ტრაქტორისტი შ. ჩიქოვანი, წალენჯიხის რაიონის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის ჩაის მკრეფავი ვ. ღვინჯილია, კომკავშირის გორის საქალაქო კომიტეტის მდივანი შ. გიუაშვილი, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სოლისტი ზ. ანჯაფარიძე.

ფოტო გ. ვახტანგაძისა და ვლ. ზარიძისა.

მოსკოვი

თამარ წერეთლის საღამო

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის საზოგადოებრიობამ გულთბილად აღნიშნა ესტრადის მსახიობის თამარ წერეთლის შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლისთავი. ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურ სახლში გაიმართა საღამო, რომელიც გახსნა ვ. ბარსოვამ. მან დამსწრეთ მოუთხრო, რომ 30 წლის მანძილზე თ. წერეთელმა 200-ზე მეტ ქალაქში გამართა 5.000-ზე მეტი კონცერტი. ამჟამადაც მსახიობი მუშაობს თავისი რეპერტუარის შესავსებად ახალი სიმღერებით.

თ. წერეთელს მიესალმნენ სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს ხელოვნების საქმეთა მთავარი სამმართველოს, კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის, მოსკოვის სახელმწიფო ესტრადის, მოსკოვის მსახიობთა სახლის წარმომადგენლები, მისი ძველი მეგობრები — დ. ბადრიძე, ვ. კანდელაკი, ს. გოცირიძე, მ. გელოვანი, დ. გამრეკელი, სატირის, ოპერეტის და სხვა კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლები. დასასრულ თ. წერეთელმა მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და შეასრულა რამდენიმე სიმღერა.

კრებული სიმღერებისა კინოფილმებიდან და სპექტაკლებიდან

გამომცემლობა „მუზგიზმა" ჟურნალ „სოვეტსკაია მუზიკას" დამატებად გამოუშვა კრებული სიმღერებისა კინოფილმებიდან და სპექტაკლებიდან. კრებულში შევიდა ა. ხაჩატურიანის „ლაშქრული" კინოფილმიდან „ადმირალი უშაკოვი", ვ. მურადელის „თავისუფლების გზა" ამავე სახელწოდების პიესიდან, „რეჩელის სიმღერა" იმავე პიესიდან, რ. გაბიჩვაძის „ჭრიჭინას სიმღერა" და „კოხტას სიმღერა" პიესა „ჭრიჭინადან". გარდა ამისა, კრებულში შევიდა ა. ნოვიკოვის, ი. დუნაევსკის, ვ. სოლოვიოვ-სედოის, კ. მოლჩანოვის, ა. ფილიპენკოს სიმღერები.

ახალი კინოფილმები

⊙ კინოსტუდია „ქართული ფილმის" მიერ გამოშვებული ფერადი მულტიპლიკაციური ფილმები „წავი ჩუკი" და „ბეკეკა" გახმოვანებულია რუსულ ენაზე. ზამთრის არდადეგებში ფილმებს აჩვენებდნენ მოსკოვის ეკრანებზე.

საკავშირო ეკრანზე საჩვენებლად მიღებულია აგრეთვე „ქართული ფილმის" მიერ გამოშვებული მულტიპლიკაციური სურათი „ყურშა".

⊙ კინოსტუდია „მოსფილმმა" დაიწყო გადაღება სათავგადასავლო ფილმისა „სახიფათო ბილიკები", რომლის სცენარის ავტორია გ. მდივანი. სურათს დგამენ რეჟისორები — ძმები ალექსეევები. ახალი ფილმის თემაა საბჭოთა ადამიანების სიფხიზლე.

მოსკოვის გორკის სახელობის კინოსტუდიამ დასადგმელად მიიღო გ. მდივნის სცენარი ახალი სრულმეტრაჟიანი კომედიური ფილმისა „ჯარისკაცი ივანე ბროვკინი".

⊙ სსრ კავშირის გზათა სამინისტროს შეკვეთით კინოსტუდიამ „ქართულმა ფილმმა" გადაიღო ორნაწილიანი სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ერთი შენიშვნის ისტორია". ფილმი დადგა დ. აბაშიძემ, რეჟისორი—ნ. ჟუჟუნაძე. სურათი გადაღებულია ო. კორალოვისა და ი. სკლიუტის სცენარის მიხედვით. მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა ა. ბალანჩივაძემ. სურათი გადაიღო ოპერატორმა გ. ქორელმა.

ამ დღეებში მოსკოვში შედგა ფილმის განხილვა. იგი მიღებულია საბჭოთა კავშირის ეკრანებზე საჩვენებლად.

ს. რიჟინაშვილი.
(„კომუნისტის" საკ. კორ.).

კომკავშირული ცხოვრება

კომკავშირელები საკოლმეურნეო შრომის ავანგარდში

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებითა და მის საფუძველზე გამოტანილი საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის დადგენილებით კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე დასახულია დიდი ამოცანები.

ამ ამოცანების განხორციელებაში თავიანთი წვლილი შეაქვთ ლანჩხუთის რაიონის კომკავშირულ ორგანიზაციებს. უკანასკნელ ხანებში ამაღლდა კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის შრომითი აქტივობა. 1953 წელს წინა წელთან შედარებით ახალგაზრდობამ გამოიმუშავა 16 ათასით მეტი შრომადღე, ამასთან მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 1952 წელთან შედარებით 110 ტონით მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ახალგაზრდობის შრომითი საქმიანობის საკითხები სისტემატურად არის რაიკომის პლენუმის, ბიუროს, კომკავშირის კომიტეტების სხდომებისა და კომკავშირული კრებების მსჯელობის საგანი. მიუხედავად ამისა, რაიონის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში ჯერ კიდევ არსებითი ნაკლოვანებანია.

დაბალია მეცხოველეობის პროდუქტიულობა. კომკავშირული ორგანიზაციები კი არ იღებენ ქმედით ზომებს, სუსტად ეხმარებიან კოლმეურნეობათა გამგეობებს ამ ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის. პროდუქტიულობა იქაც კი არასახარბიელოა, სადაც მომვლელებად და მწველავებად კომკავშირელები არიან გამოყოფილი.

ქვემო ჩიბათის ორჯონიკიძის და ზემო ჩიბათის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობათა ფერმებში სამ-სამი კომკავშირელი და ახალგაზრდა მუშაობს მწველავებად. ორივე კოლმეურნეობაში პროდუქტიულობის გეგმა თვითეულ ძროხაზე 805 კილოგრამს შეადგენს, ამის ნაცვლად კი ქვემო ჩიბათში მიღებულია 220 კილოგრამი, ხოლო ზემო ჩიბათში — 263 კილოგრამი რძე. მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმების შესრულების საქმეში ასევე არასასურველი შედეგები აქვთ ახალგაზრდებს ახალსოფლის ძერჟინსკის, არჩეულის ნინოშვილის, ლანჩხუთის სტალინის, წყალწმინდის მარქსის სახელობის და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში. ბოლომდე აღმოფხვრილი არ არის მეცხოველეობაში მომუშავე ახალგაზრდობაში დისციპლინის დარღვევისა და მოვალეობის არაკეთილსინდისიერად შესრულების შემთხვევები. ეს იმის მიზეზიც არის, რომ ახალგაზრდობაში ცუდად არის დაყენებული პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტი არასაკმაო თაოსნობას იჩენს მეცხოველეობის ფერმებში სამუშაოდ კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის გაგზავნის საქმეში. სწორედ ამით აიხსნება, რომ მამათის, ქვემო აკეთის, ჭანჭათის, ნინოშვილის კოლმეურნეობების მეცხოველეობის ფერმებში არც ერთი ახალგაზრდა და კომკავშირელი არ მუშაობს. რა თქმა უნდა, ეს კომკავშირის რაიკომის ნაკლიც არის. ადგილებზე პირველადი პარტიული ორგანიზაციების უფრო კონკრეტული და საქმიანი დახმარების ვითარებაში ასეთი მდგომარეობა როდი გვექნებოდა.

გასულ წელს საგრძნობლად გაუმჯობესდა სიმინდის ნათესების მოვლა-დამუშავება. რაიონის მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა ბარაქიანი მოსავალი მიიღეს. სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანაში არაერთმა კომკავშირელმა გამოიჩინა თავი. ჩოლობარგის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელსაც კომკავშირის რაიონული კომიტეტის წევრი ნ. თავდიშვილი ხელმძღვანელობს, შრომადღეზე ავანსად 8,2 კილოგრამი სიმინდი გაანაწილა. წარმატებას მიაღწია ჭყონაგვერის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის იმ ბრიგადამ, რომელსაც სათავეში უდგას კომკავშირის კომიტეტის მდივანი გ. ლიპარტია. 36 ჰექტარი სიმინდის ნათესის თვითეულ ჰექტარზე ბრიგადამ უზრუნველყო 36 ცენტნერი სიმინდის მიღება. მაგრამ ლაშისღელის, მაჩხვარეთის, ზემო ჩიბათის, შუხუთის, ლანჩხუთისა და ზემო აკეთის კოლმეურნეობების კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ვერ გამოიჩინეს უნარი, რომ მოსავლის აღება დროზე დაემთავრებინათ.

კომკავშირის რაიონული კომიტეტის ერთ-ერთ სერიოზულ საზრუნავს წარმოადგენს მტს-ის კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის დონის გადაჭრით ამაღლება, მისი განმტკიცება უნარიანი და საქმის მოყვარული კადრებით. უკვე დავაყენეთ საკითხი ახალგაზრდული სატრაქტორო ბრიგადის დაკომპლექტების შესახებ. გათვალისწინებულია მთელ რიგ სხვა ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფენ ახალგაზრდა მექანიზატორთა შორის კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებასა და საკოლმეურნეო კომკავშირულ ორგანიზაციებთან კავშირის განმტკიცებას.

რაიონულმა კონფერენციამ, რომელიც ამას წინათ გაიმართა, ცხადყო, რომ ლანჩხუთელ კომკავშირელებს შეგნებული აქვთ ის სერიოზული ამოცანები, რაც მათ წინაშე პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა და ამასთან დაკავშირებით საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა. პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ხელმძღვანელობითა და დახმარებით ლანჩხუთის რაიონის კომკავშირელები დაულალავად იბრძოლებენ ამ ამოცანების სასახელოდ გადაჭრისათვის.

გ. მახარაძე,
საქართველოს ალკკ ლანჩხუთის რაიკომის მდივანი.

საკოლმეურნეო სოფლებში

ბოსტნეულის 5 მოსავალი ერთი ნაკვეთიდან

ქველსენაკელმა (ცხაკაიას რაიონი) კოლმეურნე მცდელმა ესტატე ხუხიამ კარგ მაჩვენებლებს მიაღწია ბოსტნეულის მოსავლის გადიდებაში. ნაკვეთზე, რომელიც 0,15 ჰექტარს შეადგენს, მიიღო ბოსტნეულის 5 მოსავალი, საერთო ჯამით — 68 ცენტნერი გეგმით გათვალისწინებული 12-15 ცენტნერის ნაცვლად.

აი როგორ: ადრე გაზაფხულზე მწკრივად დათესა ბაბალი, ე. წ. „ადრეული ლობიო", რომელიც მწვანედ დაკრიფა აპრილში. ვიდრე ეს ლობიო დასაკრეფად მოვიდოდა, უფრო მოგვიანებით მწკრივთა შორის ისევ ჩათესა იგივე ლობიო, რადგანაც სიხშირე საკრეფად შემოსულ ლობიოზე არ იმოქმედებდა. მეორე მოსავალი მიიღო მაისში. სანამ მეორედ ნათესი ლობიო შემოვიდოდა, პირველად აღებული ლობიოს მწკრივებში დარგო ხახვი, რაც აიღო ივლისის ბოლოს. შემდეგ ჩათესა ტკბილი წიწაკა. მოსავალი მიიღო სექტემბერში. სულ ბოლოს დათესა ჩინური ბოლოკი.

გ. მილიუტინი.

მეცხოველეობის მეტი პროდუქტები სამშობლოს

სოფელ ჯაფარიძის (წითელწყაროს რაიონი) კოლმეურნეობა დიდი საწარმოო აღმავლობით შეხვდა ცნობას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნების შესახებ. ამ დღეებში კოლმეურნეობაში კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება მეცხოველეობის პროდუქტიულობის ახალი აღმავლობისათვის.

გასულ წელს კოლმეურნეობამ მეძროხეობისა და მეკამეჩეობის ფერმებიდან მიიღო 982.676 მანეთი შემოსავალი. კოლმეურნე ა. ლაპიაშვილმა, რომელიც 10 ძროხას უვლის, გასულ წელს თვითეულ ძროხაზე 1.243 ლიტრი რძე მიიღო და მით გეგმას მნიშვნელოვნად გადააჭარბა.

ჯაფარიძელი კოლმეურნეები იბრძვიან იმისათვის, რომ საუკეთესოდ გამოიზამთრონ პირუტყვი და მეცხოველეობის მეტი პროდუქტები მისცენ სამშობლოს. მიმდინარე წლის იანვრიდან ფერმაში პირველად მოეწყო ძროხების ელექტრომექანიკური წველა.

ქ. ტალიაშვილი.

მექანიზატორთა სიტყვა და საქმე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ გარეუბნის რაიონის დიღმის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში მომუშავე მექანიზატორები. რემონტზე მომუშავე ა. ხარკოვსკი ყოველდღიურ დავალებებს ორმაგად ასრულებს. მან ვალდებულება იკისრა ვადამდე დაამთავროს ტრაქტორების ძრავების რემონტი და შეჯიბრებაში გამოიწვია მექანიზატორი ნ. ხუციშვილი.

კარგ მაჩვენებლებს აღწევს გ. ბერიტაშვილი, რომელმაც 7 ტრაქტორის ძრავის რემონტი ვადაზე ათი დღით ადრე დაამთავრა. ტრაქტორების რემონტის სამუშაოებში დაწინაურდნენ აგრეთვე მექანიზატორები ლ. მანგუაშვილი, მ. ხუციშვილი, შ. გოგიძე.

მტს-ის კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ 1 თებერვლამდე ნაცვლად იანვარში გეგმით გათვალისწინებული 8 ტრაქტორისა შეაკეთოს 15 ტრაქტორი. (სპეც. კორ.).

მეტი ფართო მოხმარების საქონელი მოსახლეობას



ახალი ასორტიმენტის სატრიკოტაჟო ნაწარმი და მისი ინიციატორები

თბილისის სატრიკოტაჟო ფაბრიკის—„საქტრიკოტაჟის" კოლექტივმა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 36-ე წლისთავის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას იკისრა 1953 წლის მეოთხე კვარტალში შესდგომოდა ახალი სახის პროდუქციის მაღალი კლასის სხვა სატრიკოტაჟო ქსოვილების გამოშვებას. ამ ვალდებულების განაღდებაში ფაბრიკის კოლექტივს დიდი დახმარება გაუწიეს ამავე ფაბრიკაში მომუშავე მოწინავე ოსტატებმა ვიქტორ მიონჩინსკიმ და ვასილ ავლოხაშვილმა. მათ მოახდინეს ფაბრიკაში უკვე დადგმული მაღალი კლასის წინდასაქსოვი ავტომატების რეკონსტრუქცია, ამ ავტომატებს მოარგეს ქსოვილის გამაფერადებელი აპარატები, შეცვალეს და გაამარტივეს დანადგარის ზოგიერთი კვანძი და ამით შეძლეს ერთფეროვანი წინდების საქსოვი მანქანით ფერადი და კუბოკრული წინდების ქსოვის მოწესრიგება.

ამ ორი ოსტატის თაოსნობისა და ახალი ასორტიმენტის სატრიკოტაჟო ნაწარმის ათვისების დარგში ფაბრიკის კოლექტივის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის" დირექტორმა ტ. ალექსიშვილმა საუბარში აღნიშნა:

— ჩვენს ფაბრიკაში დღემდე ვქსოვდით მამაკაცის მხოლოდ ერთფერ წინდებს, თუმცა ჩვენი კოლექტივისათვის ცნობილი იყო, რომ საქართველოში განსაკუთრებით დიდია მოთხოვნილება არა ერთფერ, არამედ ფერად და კუბოკრულ წინდებზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ დადგენილებათა გაცნობის შემდეგ ჩვენი ფაბრიკის კოლექტივის წინაშე გადაუდებელ ამოცანად დაისახა: გავაკეთოთ ყოველივე, რაც ჩვენზეა დამოკიდებული, ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სიუხვის შესაქმნელად. გადავწყვიტეთ შევდგომოდით მუშაობას არსებულ დანადგართა ბაზაზე პროდუქციის ასორტიმენტის გასაფართოებლად, არსებული მანქანების გადაკეთებით მოგვეხერხებინა მამაკაცის წინდების გამოშვება, აგრეთვე სხვა ასორტიმენტის მაღალხარისხოვანი სატრიკოტაჟო ნაწარმის ქსოვა.

ამ მიზნის განსახორციელებლად მუშაობას შევუდექით ნოემბრის მეორე ნახევარში. ჩვენთვის ამ დროისათვის ცნობილი გახდა, რომ ქალაქ რიგის სატრიკოტაჟო ფაბრიკაში დაწყებული ჰქონდათ მუშაობა არსებული ტექნიკის ისე გადასაკეთებლად, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ახალი მანქანების მიუღებლად სატრიკოტაჟო ასორტიმენტის გაფართოება.

დიდი გონებამახვილობა და არსებული სატრიკოტაჟო ტექნიკის საუკეთესო ცოდნა გვიჩვენეს ჩვენმა ოსტატებმა ვიქტორ მიონჩინსკიმ და ვასილ ავლოხაშვილმა. მიონჩინსკიმ წინადადება შემოიტანა არსებული საქსოვი ავტომატების გადაკეთების შესახებ. ამ წინადადების პრაქტიკულად განხორციელებაში ამხ. მიონჩინსკის დახმარება გაუწია ოსტატმა ვ. ავლოხაშვილმა.

ჯერჯერობით მათ უკვე შეძლეს წინდის საქსოვი სამი ავტომატის გადაკეთება და ამ ავტომატებისათვის გამაფერადებელი აპარატების მორგება. ორ-სამ დღეში ამუშავდება მეოთხე ასეთი რეკონსტრუირებული ავტომატი, ხოლო წლის პირველი კვარტალის ბოლომდე ფაბრიკაში მამაკაცის ფერადი და კუბოკრული წინდების გამოშვებაზე იმუშავებს 12 ავტომატი. თვითეული ავტომატი ერთ ცვლაში ქსოვს 30-ზე მეტ წყვილ წინდას.

ამჟამად ფაბრიკა უშვებს უმთავრესად ბამბის გაკეთილშობილებული ძაფისაგან ნაქსოვ წინდებს, ვინაიდან ვისკოზის ძაფი, აგრეთვე ფერადი კაპრონი საქუსლეებისა და წვერებისათვის არა გვაქვს. საჭიროა ამ მასალების მოწოდებით დახმარება გაგვიწიონ მომმარაგებელმა ორგანიზაციებმა, და ფაბრიკის კოლექტივი შეძლებს მამაკაცის ფერადი წინდების ხარისხის დიდად გაუმჯობესებას.

გარდა მამაკაცის ფერადი წინდებისა, ფაბრიკის კოლექტივმა აითვისა აგრეთვე ძვირფასი ზედა ტრიკოტაჟის ნაწარმის გამოშვება — წმინდა შალის ჟაკეტებისა, ჯემპრებისა, აბრეშუმის თეთრეულისა და ამასთან განაგრძობს მუშაობას 14 სახელწოდების სხვადასხვა ასორტიმენტის ტრიკოტაჟის ნაწარმის გამოსაშვებად.

დ. ამირანიძე.

სურათზე: (მარცხნივ) მქსოველი ა. გაბრიელიანი, ოსტატები ვ. მიონჩინსკი და ვ. ავლოხაშვილი თვალყურს ადევნებენ მათ მიერ რეკონსტრუირებული წინდის საქსოვი მანქანების მუშაობას; მარჯვნივ — საამქროს უფროსი ვ. ივანოვი და ტექნოლოგი ნ. კონიჩევა წუნმდებელ ტ. მებაღიშვილთან ერთად არჩევენ წინდების მორიგ შეკვრას სავაჭრო ქსელში გასაგზავნად.

ფოტო გ. ზარიძისა.

დღეს კახოვკაში

თოვლით „გადათეთრებულა" უკრაინის თვალუწვდენი ველები. ყინულს შეუბოჭავს დიდი და პატარა მდინარეები. მატარებელი ხიდზე გადის. ძირს იყურები, მაგრამ მდინარე არა ჩანს. მკაცრ ზამთარს გაუნიველირებია გოგოლის მიერ დახატული დიკანკის მსგავსი დაბები. ფანჯრიდან ჩანს — ავტომობილები მიმოქრიან, მაგრამ ძნელია გარჩევა გზატკეცილით მიდიან ისინი, თუ ველზე ავტომძღოლის ნაცადი თვალით შერჩეული გზით.

მატარებელი მიჰქრის კიევიდან სამხრეთისაკენ. ირწევიან კომფორტული ვაგონები. მატარებლის სრბოლას დასასრული არ უჩანს. მეორე დილა გათენდა. გავცილდით ზაპოროჟიეს — რუსთავის ახალგაზრდა მეტალურგების ნაცნობ ქალაქს, და ვაგონის გამცილებელმა მშობლიური მზრუნველობის კილოთი მოგვმართა:

— ახლა ჩამოხვალთ. თქვენი მარშრუტი ასეთი იქნება...

...დნეპრი, რომელსაც გოგოლმა თავისი უკვდავი თეთრი ლექსით უმღერა — „საოცარია დნეპრი წყნარ ამინდში" — ჯიქურ გადაუკვეთია ვ. ი. ლენინის სახელობის დნეპრჰესის უზარმაზარ რკინა-ბეტონის კაშხალს. იქვე მახლობლად იწყება კახოვკის მძლავრი ჰიდროელექტროსადგურის სამშენებლო მოედანი. ეს მშენებლობა უკრაინის დედამდინარე დნეპრზე, ისევე როგორც სტალინგრადჰესისა და კუიბიშევჰესისა რუსეთის დედა-მდინარე ვოლგაზე, მეტად პოპულარულია საერთოდ საბჭოთა კავშირში და, ცხადია, ჩვენს რესპუბლიკაშიც—საქართველოშიც. საქართველოს ჰიდროენერგოტექნიკოსებსაც მიუძღვით წვლილი კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის მთელი რიგი ტექნიკურად სრულიად ახალი საკითხების მოწესრიგებაში. ინჟინერი ხ. ანდრიანოვი — კახოვკის მშენებლობის უფროსი — გულთბილად გვესაუბრება იმ დახმარების შესახებ, რაც კერძოდ თბილისის ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტსა და მის სპეციალისტებს გაუწევიათ კახოვკის მშენებლებისათვის ბეტონის სამუშაოთა შესრულების გაუმჯობესებული ტექნოლოგიის დანერგვაში ბეტონის ხსნარში ეგრეთწოდებული პლასტიფიკატორების შეზავების რეცეპტურის მიწოდებით.

კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებმა 1954-1955 წლებში უნდა შეასრულონ 1.200.000 კუბმეტრი ბეტონისა და რკინაბეტონის სამუშაოები. ამას დასჭირდება უამრავი ინერტული მასალა—ქვიშა, ხრეში, რაც დნეპრის კალაპოტში არ მოიპოვება. დნეპრის თიხოვანი ქვიშების გამოყენების შესახებ დიდი ლაბორატორიული კვლევაძიება იყო გაწეული, მაგრამ, ბოლოს, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ქვიშა და ხრეში უმჯობესია მოზიდონ ყირიმიდან და ნიკოლაევიდან — მრავალი ასეული კილომეტრის სიშორიდან, რათა ამით უზრუნველყონ კახოვკის ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამარადისო სიმტკიცე.

საქვეყნოდ ცნობილია ახალი კახოვკა. ფართო ქუჩის ორივე მხარეს ჩანან ყინულით შელესილი ფანჯრები, გათოშილ და გარინდულ მცენარეთა თითქოს გამხმარი ტოტები. ქუჩაში იშვიათად თუ გამოჩნდებიან ადამიანები. უფრო ხშირად ჩანან სატვირთო მანქანები, თვითსაცლელები, რახრახით მიდიან ხორთუმდაშვებული ექსკავატორები. ახალი კახოვკის, როგორც ქალაქის, ისტორია სულ სამი წლით განისაზღვრება. იგი ჩვენს რუსთავზე უფრო ახალგაზრდაა, მასზე პატარა, მაგრამ არანაკლებ კეთილმოწყობილი. აქ ჯერჯერობით მხოლოდ მშენებლები ცხოვრობენ. კახოვკაში ჩასვლისთანავე გრძნობს ადამიანი მშენებელთა ახალი ქალაქის თავისებურ მაჯისცემას, საბჭოთა ადამიანების დაუცხრომელ შემოქმედებითს შრომას.

გრძელი ქუჩაა. მას არქიტექტურულად კარგად მოფიქრებული შენობები ამშვენებენ. „ოდესის ჰიდროტექნიკური ინსტიტუტის საღამოს განყოფილება"— ასეთი წარწერა აქვს ერთ-ერთი შენობის ფრონტონს. „მუსიკალური სკოლა" — აწერია მეორე შენობას. „მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო" — გვაუწყებს ახალი კახოვკის ერთ-ერთ ლამაზ კოლონადიან შენობაზე გაკეთებული აბრა... სასურსათო, სამრეწველო საქონლის, წიგნის მაღაზიების სიმრავლე იგრძნობა ქუჩაში გავლისას. ჩანს, კახოვკელი მშენებლები არა მარტო დაძაბულად შრომობენ, არამედ კარგად ცხოვრობენ; ცოდნას, კულტურას ეწაფებიან. შორიდან ჩანს სტადიონი ფართო შესასვლელით, ათასობით მაყურებლისათვის გამზადებული, თუმცა ახლა ცარიელი ტრიბუნებით. აქეთ კინოთეატრის შენობაა, და მეტრიანი ასოებით აღბეჭდილია: „დღეს დილით — „ორი ბატონის მსახური".

ფოსტალიონი ტყავის სავსე ჩანთას დაატარებს, რომ ბინებში გაზეთები და წერილები ჩამოარიგოს.

— თუ შეიძლება, მეგობარო, ერთი გაზეთი ხელდახელ დაგვათვალიერებინო, აი „ვსენაროდნაია სტროიკა"...

— გათხოვებთ, — სხვისი რომ არ იყოს, სულ დაგითმობდით.

აქ კახოვკის ცენტრალური უბანი ყოფილა. რადიორეპროდუქტორიდან მოისმის უკრაინელი დიქტორის ხმა.

მშვენიერ, საკმაოდ მოზრდილ ქალაქად გამხდარა ამ ბოლო სამი წლის განმავლობაში ახალი კახოვკა. მრავალი ათასი მცხოვრებია აქ. დიდი ელექტროცენტრალი, ავტომატური სატელეფონო სადგური, კულტურის სახლი, თეატრი, საჯარო ბიბლიოთეკა, სამკითხველო განსაკუთრებულად მიმზიდველად ხდის მას.

გაზეთში, ფოსტალიონმა რომ გვათხოვა, ერთ-ერთ კორესპონდენციაში მოთხრობილია:

„სამი წლის წინათ დნეპრის ამ მიუსაფარ სანაპიროზე ისლით დახურული რამდენიმე ქოხი („ხატა") იდგა. ქათმები წიწილებს ფრთაგაშლით ეფარებოდნენ — ქარმა არ წაგვართვასო. ხოლო იქ, სადაც ახლა ქუჩებია, თხები თავისუფლად ძოვდნენ ბალახს. მიყრუებულ ადგილად ითვლებოდა ეს სოფელი — კლიუჩევაია. პირველად აქ გეოლოგიურ-საძიებო ჯგუფი ჩამოვიდა. ზამთარი იყო, და კლიუჩეველ კოლმეურნეებს გაუკვირდათ — გზა ხომ არ აებნათო.

— დარჩებით აქ თუ მალე წახვალთ, — მოგვმართა კითხვით მოხუცმა ქალმა.

— დავრჩებით, დედი, კიდევ ჩამოვლენ სხვა ჯგუფები — ჩვენი ამხანაგები!

— ოჰო, დობრე!—თქვა მოხუცმა და დიდხანს სიცოცხლე გვისურვა.

კლიუჩეველებს წარმოდგენაც არ შეეძლოთ, რომ ამ 30-40 გეოდეზისტისა და გეოლოგის ჩამოსვლის შემდეგ ორ-სამ წელიწადში მათ ქოხებს 3-4-სართულიანი სახლები აღუდგებოდნენ წინ, რომ სოფელი კლიუჩევაია მჩქეფარე ცხოვრების ქალაქად — ახალ კახოვკად აღიმართებოდა მშობლიური „დნიპროს" ნაპირზე...".

კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას მრავალი ათეული კვადრატული კილომეტრი უკავია. ჩანან სამშენებლო მასალებისა და დეტალების ქარხანათა კვამლსადენები, დნეპრჰესიდან გამოყვანილი ელექტროდენის გადამცემი ხაზები; რკინიგზის ქსელი სერავს ყოველი მიმართულებით მშენებლობის ადგილებს.

შრომა დუღს, თუ შეიძლება ითქვას, ეს უპირველეს ყოვლისა კახოვკის მშენებლობის შესახებ უნდა ითქვას. ცნობილია, რომ მთავრობამ კახოვკის მძლავრი ჰიდროელექტროსადგურის ამუშავების ვადად დააწესა 1956 წლის ბოლო. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობისათვის მზადების დღეებში კახოვკელმა მშენებლებმა იკისრეს სადგურის ვადამდე ამუშავება.

— კახოვკის ჰიდროელექტროსადგურს ავამუშავებთ ვადაზე ერთი წლით ადრე — 1955 წლის ბოლოსათვის.

ახლა მშენებლები უკვე გამოსული არიან „დიდი ბეტონის" სამუშაოებზე. რა არის „დიდი ბეტონი", აქ ყველამ იცის. ეს არის რაბების საფუძვლისა და კედლების დაბეტონება, რისთვისაც წინასწარ ამზადებენ საქარგილე ხეტყის მასალას, ეს არის კაშხალის საფუძვლისა და შემდეგ მთელი ტანის დაბეტონება. მილიონ ორასი ათასმა კუბმეტრმა ბეტონმა უნდა გადაუღობოს გზა დნეპრს 1954 და 1955 წლების განმავლობაში. ამ სამუშაოთა მასშტაბზე წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, შეიძლება აღინიშნოს, რომ ჩვენი ორთაჭალჰესის მშენებლებმა, რომელთა გამოცდილებასაც აქ დიდად აფასებენ და მეტად დიდი ყურადღებით ეკიდებიან, მტკვრის კალაპოტში კაშხალის აღსამართავად ამის ერთი მეცამეტედი რაოდენობით ჩაასხეს ბეტონი და ამით მტკვარს ლაგამი ამოსდეს.

კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ვადის ერთი წლით შემოკლება ეს დიდი, ფასდაუდებელი საჩუქარი იქნება საბჭოთა სამშობლოსათვის. მარტივად რომ ითქვას, ვადაზე ერთი წლით ადრე ამ სადგურის ამუშავება ნიშნავს იმდენი მუშახელის და სამშენებლო ტექნიკის განთავისუფლებას, რამდენიც საჭირო იქნება მეორე ასეთივე გიგანტური სადგურის სამშენებლო სამუშაოთა მეოთხედი ნაწილის შესასრულებლად.

განსაკუთრებით საინტერესოა ის ციფრები, რომლებიც აქ გვაცნო მშენებლობის უფროსმა ინჟინერმა ს. ანდრიანოვმა:

კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის ვადამდე ამუშავებით მარტო ერთი წლის განმავლობაში უკრაინის სახალხო მეურნეობა ქვეყანას დაუზოგავს ერთ მილიონ ტონა ქვანახშირს. ამდენი ქვანახშირი დასჭირდებოდა იმ ელექტროენერგიის გამომუშავებას, რასაც დნეპრის ტალღებით ამოძრავებული კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის ტურბინაგენერატორები მოგვცემენ. ვადაზე ერთი წლით ადრე ამუშავებით კახოვკის ჰიდროელექტროსადგური მოგვცემს იმდენ ენერგიას, რამდენიც საჭიროა 6,5 მილიონი ტონა ლითონის გამოსადნობად. ამ ლითონიდან შეიძლება გაკეთდეს ორასი ათასი ტრაქტორი, ნახევარ მილიონზე მეტი სატვირთო ავტომობილი და ათასი ორთქლმავალი. ამ ენერგიით, თუ მას სოფლის მეურნეობაში ელექტროტრაქტორების ასამუშავებლად გამოვიყენებთ, შეიძლება მოიხნას ოცი მილიონი ჰექტარი მიწა.

სანაქებოდ მუშაობდნენ კახოველი მშენებლები 1953 წელს. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა მათ ჯერ კიდევ ოქტომბრის დასაწყისისათვის შეასრულეს და ამით საქმე მთელი სამი თვით დააწინაურეს. შარშან მათ დნეპრის მეორე მხარეზე გადასასვლელი ზღუდარის აღსამართავად გამოიყენეს 5 ათასი ტონა ლითონის ხიმინჯი, გაუმართავთ საარმატურო რკინის ქარხანა, აუშენებიათ და აუმუშავებიათ ბეტონის მექანიზებული ქარხნები, მოუწესრიგებიათ და ახალი ტექნიკით აღუჭურვიათ ყირიმისა და ნიკოლაევის საკარიერო საბადოები, გაუმართავთ კაშხალის მოსაპირკეთებელი ფილების ქარხანა, ესტაკადები და ა. შ.

დნეპრის კალაპოტში კახოველ მშენებლებს მეტად რთულ ვითარებაში უხდებათ მუშაობა. ეს ვითარება ჰავის თავისებურების შედეგია. ასეთ პირობებში ბეტონის ჩასხმა მთელ რიგ ღონისძიებათა წინასწარ მიღებას მოითხოვს; ხოლო ეს ღონისძიებები იწვევენ ყოველი კუბმეტრი ბეტონის გაძვირებას. კახოვკელების მიზანი კი ის არის, რომ სადგურის აგება ვადაზე ერთი წლით ადრე დაამთავრონ და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულება საგრძნობლად შეამცირონ.

წყალსატუმბავი დანადგარები დნეპრის კალაპოტში ჯარისკაცებივით ჩამწკრივებულან და ყინულით შეკრული ქვაბულის სიღრმიდან დნეპრის წყალს რკინის მილებით ღვრიან გადმოღმა, სპეციალურად გაჭრილ არხში. სწრაფად გადმოღვრილი წყალი გაყინვას ვერ ასწრებს, არხის სიღრმეში მიძვრება ყინვით გასალკლდევებული ზედაპირის ქვეშ, სადღაც ქვემოთ, აქედან შორს კვლავ მდინარეს უერთდება. ამ ჩვენთვის უჩვევ სიცივეში დათბუნულ და დახურულ ტრანსპორტიორს მოაქვს ბეტონის ხსნარი; გზაში ბეტონი სპეციალური სისტემის საშუალებით თბება, ბეტონი მოაქვთ თვითსაცლელებსაც და საჭიროა მისი ქარგილებში ჩასხმა სწრაფად, ერთბაშად, საჭიროა ვიბრატორების ერთდროულად ამოქმედება, რომ ბეტონმა გაციება ვერ მოასწროს, მტკიცედ ჩაჯდეს მისთვის გამზადებულ ფიცრულში... შეუსვენებელი მუშაობაა საჭირო, ვინაიდან ზამთარია, იანვარია. გრიგოლ კრავჩენკო, კონსტანტინე გვოზდენკო, სერაფიმა ნიკულინა, ივანე ტრენინი, პეტრო იარემენკო თავს დასტრიალებენ თავიანთ ბრიგადებს. — ვინ უკეთ, ვინ უფრო სწრაფად ჩაასხამს ბეტონის ხსნარს?

— თქვენში თუ არიან ასეთი ბიჭები?

— არიან, როგორ არა!

— ძმური სალამი, გამარჯვების მგზნებარე სურვილი გადაეცით მათ!

* * *

შემდგომი მატარებელი მალე ჩამოდგება პატარა სადგურზე. უნდა დავბრუნდეთ უკან.

ნახვამდის, ახალო კახოვკავ!

ნახვამდის, ახალი ცხოვრების შემოქმედნო, კახოვკელო მშენებლებო!

დ. ლომთაძე, ვ. თოიძე,
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტები.

მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატები

ანდრეა ანდრეენი

— ადამიანი, რომელმაც ნახა, თუ რას წარმოადგენს ომი მთელი მსოფლიოსათვის, არასოდეს არ შეწყვეტს ბრძოლას მშვიდობისათვის, — ამბობს შვედი ხალხის საუკეთესო წარმომადგენელი, მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლი, საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატი ანდრეა ანდრეენი.

მეორე მსოფლიო ომმა უდიდესი უბედურება დაატეხა თავს მილიონობით კეთილი ნების ადამიანს. სიკვდილი, დასახიჩრება, გაპარტახება, შიმშილი, სიღატაკე, ეპიდემია — აი რა მოუტანა ომმა მსოფლიოს ხალხებს. ამიტომ ომისადმი სიძულვილი საყოველთაო-სახალხო გრძნობად გადაიქცა.

1945 წლის დეკემბერში საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში გაიმართა მსოფლიოს ქალთა პირველი კონგრესი, რომელზეც 40 ქვეყნის წარმომადგენელმა პატრიოტმა ქალებმა პირობა დადეს მთელი ძალღონით იბრძოლათ მშვიდობისათვის, ფაშიზმის ნაშთების აღმოფხვრისათვის, ქალთა უფლებების დაცვისათვის, ბავშვების ბედნიერი მომავლისათვის. ამ კონგრესზე შეიქმნა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია. ფედერაციის აღმასკომის ერთ-ერთ წევრად არჩეულ იქნა კონგრესის დელეგატი ანდრეა ანდრეენი.

ანდრეა ანდრეენი პატარაობიდანვე გამოირჩეოდა სიცოცხლისადმი, ადამიანისადმი უსაზღვრო სიყვარულით. თავის მოწოდებად მიაჩნდა ხალხისადმი უმწიკვლო სამსახური. იმისათვის, რომ უკეთ განეხორციელებინა კეთილშობილური მოწოდება, სამედიცინო განათლება მიიღო, და ახლა იგი, უკვე მედიცინის დოქტორი, სტოკჰოლმის კლინიკური ლაბორატორიის მთავარ ექიმად მუშაობს. ამავე დროს ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა, მოსახლეობაში კითხულობს ლექციებს, ავრცელებს სამედიცინო ცოდნას და აქტიურად იბრძვის ბავშვებისა და დედების ინტერესების დასაცავად. ანდრეა ანდრეენი ორ ათეულ წელზე მეტია შვეციის ქალთა მემარცხენე კავშირის თავმჯდომარედ მუშაობს.

ქალთა დემოკრატიული მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე ანდრეა ანდრეენი 1952 წელს შეყვანილ იქნა კორეასა და ჩინეთში ბაქტერიოლოგიური ომის წარმოების ფაქტების გამომკვლევ საერთაშორისო სამეცნიერო კომისიაში. თმაშევერცხლილი ქალი ახალგაზრდული ენერგიით გაეცნო ფაქტებსა და მოვლენებს. მან ნახა ცეცხლის ალში გახვეული კორეა, ნაპალმით გადამწვარი მიდამოები, დანგრეული ქალაქები და გაპარტახებული სოფლები, უსახლკარო ადამიანები. ახლოს გაიცნო და შეიყვარა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი გმირი კორეელი ხალხი. ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების მრავალი უტყუარი ფაქტი შეაგროვა, მოახდინა დოკუმენტალური ჩაწერა ტყვედ ჩავარდნილ ამერიკელ მფრინავთა განცხადებებისა იმის შესახებ, რომ ისინი ნამდვილად იყენებდნენ ამ იარაღს მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.

ანდრეა ანდრეენის გული სულ უფრო იმსჭვალებოდა ამერიკელი იმპერიალისტებისადმი ზიზღისა და ომისადმი სიძულვილის გრძნობით. მან კორეაში სიტყვა წარმოთქვა ერთ-ერთ შეკრებაზე, რომელსაც ათასზე მეტი ქალი დაესწრო.

— კორეელო ქალებო, — მიმართა მათ, — თქვენ ჩვენთვის ახლობელი ხართ. ჩვენ თქვენთან ერთად ვიტანჯებით. ახლა მე ვიცი, რომ კორეა მისი ბუნებრივი სიმდიდრეებით, უძველესი კულტურითა და საოცარი ხალხით შესანიშნავი ქვეყანაა. კორეას დიადი და ბედნიერი მომავალი აქვს. ამ მომავლის შექმნა ქალებზეც დიდად არის დამოკიდებული. ჩვენი ამოცანა ახლა ის არის, რომ შევაგროვოთ მასალები და ყველას ვუამბოთ სიმართლე ბაქტერიოლოგიური ომის შესახებ. მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენი ნაამბობი ხელს შეუწყობს თქვენი ტანჯვის შეწყვეტას. კორეელო დედებო, ცოლებო, ქალიშვილებო, გმირო ქალებო, ჩვენ თქვენთან ვართ!

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ანდრეა ანდრეენმა გამოსცა წიგნი, რომელშიც აღწერილია კორეაში მიღებული შთაბეჭდილებანი. ავტორის ამოცანა იყო ამ წიგნით თანამემამულეებისათვის გასაგები გაეხადა, თუ რამდენად საშიშარია ომი მშვიდობიანი მოსახლეობისათვის. დასახული ამოცანა ავტორმა ბრწყინვალედ შეასრულა. წიგნმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა.

ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის ანდრეენი გარიცხულ იქნა შვეციის სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგებიდან, რომელსაც იგი წინათ ეკუთვნოდა. დემოკრატმა ქალმა უფრო მეტად გააჩაღა ბრძოლა რეაქციის ბნელი ძალების წინააღმდეგ. იგი მთელ თავის ცოდნასა და ენერგიას ახმარს მშვიდობისათვის ბრძოლას.

1953 წელს ანდრეენი არჩეულ იქნა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარედ. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბუდაპეშტის სესიაზე აირჩიეს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრად.

ანდრეა ანდრეენი აღაფრთოვანა მისთვის მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიის მინიჭებამ. ამის გამო მან განაცხადა:

„...მეტად მახარებს, რომ მშვიდობის პრემია შვეციის წარმომადგენელს მიენიჭა. მე ვფიქრობ, რომ ამით აღიარებულია შვედი ხალხის და ჩრდილოეთის ყველა ქვეყნის ხალხთა წვლილი საერთაშორისო კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაჭრის საქმეში. ამ პრემიის მონიჭება მიმაჩნია აგრეთვე იმის წახალისებად და სტიმულად, რომ შვეციაში გაძლიერდეს მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა...

მტკიცედ მწამს, რომ მთელი მსოფლიოს მშიდროდ დარაზმულ და აქტიურ საზოგადოებრივ აზრს შეუძლია ხელი შეუშალოს ომს, შეუძლია გამოიწვიოს მოლაპარაკება და ამრიგად გზა გაუხსნას მტკიცე მშვიდობას“.

ა. ჩაჩლეიშვილი.



გუდაუთი. (საკ. კორ.). ამუშავდა ახალი ჰიდროელექტროსადგური — დურიფშესი, რომლის სიმძლავრე 1.800 კილოვატსაათს შეადგენს. იგი მომსახურებას გაუწევს რაიონის ბევრ კოლმეურნეობას და მტს-ს. დურიფშესის ენერგია უკვე მიიღეს სოფელ ლიხნის კოლმეურნეობებმა. მიმდინარეობს ელექტროხაზების გაყვანა. სურათზე: ახალი ელექტროსადგურის — დურიფშესის შენობა.

ფოტო გ. კვირკველიასი.

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავი

მეცნიერებათა აკადემიაში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე გადაწყვიტა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად მოაწყოს სამეცნიერო სესია, მიძღვნილი რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისადმი. სესიაზე მოსმენილ იქნება 7 მოხსენება.

გადაწყვეტილია გამოიცეს 5 ბროშურა: ა. ბარამიძის, ლ. ასათიანისა და ბ. ჟღენტის — „უკრაინისა და საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან“, პროფესორ ი. ცინცაძის — „უკრაინისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიული ფესვები“, ო. გვინჩიძის — „ნიკოლოზ წერეთელი — უკრაინული ხალხური შემოქმედების ძეგლების პირველი შემგროვებელი და გამომცემელი“, პროფესორ შ. ამირანაშვილისა — „ქართველი მხატვრები უკრაინაში“, დოცენტ ი. მიქელაძისა — „საბჭოთა უკრაინისა და საბჭოთა საქართველოს ხალხთა მეგობრობა და სამეურნეო ურთიერთობა“.

თბილისის ისტორიულ ბიბლიოთეკაში

დიდ ინტერესს იწვევს გამოფენა, რომელიც მოწყობილია თბილისის ისტორიულ ბიბლიოთეკაში რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად.

გამოფენაზე წარმოდგენილია ისტორიკოს ნ. კოსტომაროვის თხზულებათა ორი ტომი სათაურით „ბოგდან ხმელნიცკი“. ეს წიგნები გამოცემულია პეტერბურგში 1870 წელს. აქვეა 1871 წელს გამოცემული „სახალხო განათლების სამინისტროს ჟურნალი“, რომელშიც მოთავსებულია გ. კარპოვის სტატია „მოლაპარაკება დიდ რუსეთთან მალოროსიის შეერთების პირობების შესახებ.

აღსანიშნავია გამოფენილი სურათები — მხატვარ ა. კივშენკოს „პერეიასლავის რადა 1654 წელს“, ი. რეპინის „ზაპოროჟიელები წერილს სწერენ თურქეთის სულთანს“ და სხვ. გამოფენაზე ნაჩვენებია ქართულად თარგმნილი უკრაინული ლიტერატურა — ტარას შევჩენკოს, ივანე ფრანკოს, ლესია უკრაინკას, მ. ბაჟანის, ო. გონჩარის, მ. რილსკის, დ. კოსარიკის და სხვათა ნაწარმოებები.

„გიორგი სააკაძე“ ფოთის თეატრში

ამ დღეებში ფოთის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მაყურებელს უჩვენა ი. ვაკელის ისტორიული დრამა „გიორგი სააკაძე“. პიესა დადგა რეჟისორმა ვ. მჭედლიძემ, მხატვრულად გააფორმეს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ქ. სანაძემ და გ. მილორავამ, მუსიკა დაწერეს კომპოზიტორებმა ო. თაქთაქიშვილმა და შ. მილორავამ.

როლებს ასრულებენ მსახიობები: გ. ებრალიძე, ბ. თოფურიძე, ს. ყურაშვილი, ტ. თვალთვაძე, ა. ხოფერია, დ. მელქაძე, ა. დობორჯგინიძე.

ქ. კომახიძე.

„უმეცარი“ ქუთაისის თეატრში

ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს უჩვენა ახალი დადგმა — დ. ფონვიზინის „უმეცარი“.

როლებს ასრულებენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ქ. აბესაძე, ვ. ჩხიკვაძე, შ. ხონელი, მსახიობები გ. კოკელაძე, ზ. ჯაფარიძე, ნ. წინამძღვარი, გ. ფხაკაძე, რ. ხობუა, გ. ლომიძე და სხვ.

პიესა დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ვ. ყუშიტაშვილმა. სპექტაკლმა მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა.

თვითმოქმედი კოლექტივების დადგმები

სასურსათო საქონლის მრეწველობის მუშათა რესპუბლიკური პროფკავშირის გორკის სახელობის კლუბის დრამატულმა კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა პრემიერა — ბ. ლავრენიოვის პიესა „რღვევა“. ეს მეორე დადგმაა, რომელიც კლუბის თვითმოქმედმა კოლექტივმა განახორციელა მიმდინარე სეზონში. წარმატებით დადგა კოლექტივმა ს. შანშიაშვილის „ხევისბერი გოჩა“. რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად დაიდგმება ა. კორნეიჩუკის პიესა „პლატონ კრეჩეტი“.

ვ. მ. მოლოტოვი ბერლინს ჩავიდა

ბერლინი, 23 იანვარი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირში მონაწილეობის მისაღებად ბერლინს ჩამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი.

ბერლინის შენეფელდის აეროდრომზე ვ. მ. მოლოტოვს შეხვდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარე — დოქტორი იოჰანეს დიკმანი, პრემიერ-მინისტრი ოტო გროტევოლი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე ვალტერ ულბრიხტი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ლოტარ ბოლცი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და ფინანსთა მინისტრი ჰანს ლოხი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის მინისტრი პაულ შოლცი, დიდი ბერლინის ობერ-ბურგომისტრი ფრიდრიხ ებერტი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრები და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მასობრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები.

ვ. მ. მოლოტოვს შეხვდნენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში აკრედიტებული სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საელჩოებისა და მისიების მეთაურები, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და სსრ კავშირის უმაღლესი კომისარი გერმანიაში ვ. ს. სემიონოვი, გერმანიაში საბჭოთა საოკუპაციო ჯარების მთავარსარდალი არმიის გენერალი ა. ა. გრეჩკო, გერმანიაში სსრ კავშირის უმაღლესი კომისრის აპარატის, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საელჩოს პასუხისმგებელი თანამშრომლები და გერმანიაში საბჭოთა საოკუპაციო ჯარების ჯგუფის გენერლები.

შეხვედრას დაესწრნენ საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები. აეროდრომი მორთული იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ალმებით.

ბერლინს ჩამოსვლისას შენეფელდის აეროდრომზე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა საბჭოთა და უცხოეთის პრესისათვის გადასცა შემდეგი განცხადების ტექსტი:

„ბერლინის თათბირი თავის მთავარ ამოცანას იმდენად შეასრულებს, რამდენადაც იგი ხელს შეუწყობს მშვიდობის განმტკიცებას, საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელებას, ევროპაში უშიშროების ნამდვილ უზრუნველყოფას.

ხუთი წელი გავიდა ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების უკანასკნელი თათბირის შემდეგ. თვით ფაქტი, რომ მოხდა შეთანხმება ბერლინის თათბირის მოწვევის შესახებ და ის გამოხმაურება, რომელიც ამ თათბირმა საერთაშორისო საზოგადოებრივ წრეებში გამოიწვია, მოწმობენ, რომ მომავალი მოლაპარაკების საჭიროებამ ფართო აღიარება ჰპოვა, რომ ამ მოლაპარაკებას თვალყურს ადევნებს მრავალი მილიონი ადამიანი. მომწიფებული საერთაშორისო საკითხების შესახებ მოლაპარაკებაში, რაც უფრო მალე მიიღებს მონაწილეობას დიდი სახალხო სახელმწიფო — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, მით უკეთესი იქნება, და უკეთესი იქნება ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის.

საბჭოთა კავშირს არ ჰქონია და არცა აქვს ისეთი მიზნები, რომლებიც სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ, სხვა ხალხთა თავისუფლებისა და ეროვნული უფლებების წინააღმდეგ იყოს მიმართული. საბჭოთა კავშირის მხრივ უზრუნველყოფილია მხარდაჭერა ყველა იმ ქვეყნის მისწრაფებისათვის, რომელთა მიზანია ზრუნვა თავიანთი ხალხების კეთილდღეობასა და უშიშროებაზე, რამდენადაც ეს მისწრაფება არ უპირისპირდება სხვა სახელმწიფოთა ინტერესებსა და უფლებებს. სსრ კავშირის მთავრობას სურს იხილოს ასეთივე მოპყრობა საბჭოთა კავშირისადმიც.

დასასრულ ნება მიბოძეთ მადლობა მოვახსენო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას და ყველა გერმანელ მეგობარს იმ სტუმართმოყვარეობისათვის, რაც მათ გაგვიწიეს ჩვენ, საბჭოთა წარმომადგენლებს, ბერლინში“.

გზაზე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ ვ. მ. მოლოტოვსა და მის თანმხლებ პირებს გულთბილად ხვდებოდა ბერლინის ათეულ ათასობით მშრომელი.

კრაკოვში გაიხსნა ვ. ი. ლენინის მუზეუმი

კრაკოვი, 21 იანვარი. (საკდესი). დღეს კრაკოვში, სადაც 1912-1914 წლებში ვლადიმერ ილიას-ძე ცხოვრობდა და მუშაობდა, მოეწყო ვ. ი. ლენინის მუზეუმის საზეიმო გახსნა.

ვ. ი. ლენინის მუზეუმის გახსნის გამო გაიმართა მიტინგი. მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა უმაღლესი განათლების მინისტრმა ა. რაპაცკიმ და მოსკოვის ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის დირექტორმა ვ. ფ. მოროზოვამ.

მიტინგის დასასრულს დამსწრეებმა შეასრულეს პარტიული ჰიმნი „ინტერნაციონალი“.

* * *

ვ. ი. ლენინის მუზეუმს, რომელიც კრაკოვის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზეა, 10 დარბაზი აქვს. მუზეუმის დარბაზებში განლაგებულია ათასზე მეტი ექსპონატი, რომლებიც ასახავენ ვლადიმერ ილიას-ძის ყოფნას კრაკოვში, პოლონეთის მუშათა მოძრაობის კავშირს რუსეთის რევოლუციურ მოძრაობასთან. მუზეუმში წარმოდგენილი მასალები და დოკუმენტები მნახველებს აცნობენ ყოვლისმძლე ლენინური იდეების გამარჯვებას საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

სპეციალური დარბაზი მიძღვნილი აქვს საბჭოთა და პოლონელი ხალხების მეგობრობას, საბჭოთა კავშირის ძმურ დახმარებას სახალხო პოლონეთის მშრომელებისადმი სოციალიზმის მშენებლობაში.

კრაკოვში ვ. ი. ლენინის მუზეუმის მოწყობას დიდად შეუწყეს ხელი მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტმა და მოსკოვის ვ. ი. ლენინის ცენტრალურმა მუზეუმმა.

მუზეუმის გახსნის დღეს იგი დაათვალიერა კრაკოვისა და მახლობელი რაიონების ასობით მშრომელმა.

საერთაშორისო მიმოხილვა

მნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემის გადაჭრის საშუალება

25 იანვარს იხსნება საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირი. ამიტომ მსოფლიო საზოგადოებრიობა ახლა განსაკუთრებით გაცხოველებულად განიხილავს საერთაშორისო ურთიერთობის პრობლემებს. ამ განხილვაში უკვე აშკარად გამოირკვა ცალკეული საზოგადოებრივი ჯგუფების შეხედულებანი ძირითად სადავო საკითხებზე და დაისახა ამ საკითხთა მოწესრიგების ის გზები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება ხალხთა დაუძლეველ მისწრაფებას მშვიდობისა და უშიშროებისაკენ.

მთელმა მშვიდობისმოყვარე კაცობრიობამ გარკვევით და მტკიცედ გამოთქვა აზრი გამალებული შეიარაღების შეწყვეტის სასარგებლოდ, აგრესიული იმპერიალისტური ბლოკებისა და კავშირების წინააღმდეგ. როგორც უცხოეთის პრესაში ხშირად გამოთქმული აზრი მოწმობს, ბევრი ბურჟუაზიული საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეც კი გამოთქვამს აზრს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებების აღდგენის სასარგებლოდ.

ბუნებრივია, რომ ხალხთა ყურადღება მიპყრობილია აგრეთვე გერმანიის საკითხისადმი, რადგან, როგორც თავის დროზე ამხ. გ. მ. მალენკოვი აღნიშნავდა, იმისდამიხედვით, თუ როგორ გადაიჭრება იგი, „გერმანია შეიძლება გახდეს ან ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, ან ახალი აგრესიის მთავარი ევროპული კერა“. ადევნებდნენ რა თვალყურს გერმანიის საკითხში ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო კურსის ბრძოლას, — ერთი მხრივ იმ კურსისა, რომელსაც საბჭოთა მთავრობა და დემოკრატიული ბანაკის სხვა სახელმწიფოები ახორციელებენ, რათა მოაწესრიგონ პრობლემა ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერების ინტერესებისათვის, და მეორე მხრივ იმპერიალისტების კურსისა, რომლებიც უბიძგებენ გერმანიას მილიტარიზმის და აგრესიის გზაზე, — ყველა კონტინენტის ფართო საზოგადოებრივი წრეები მხარს უჭერენ პირველ კურსს, გერმანიის როგორც ერთიანი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს აღორძინების კურსს.

იმპერიალისტური პრესის მიერ გამოთქმული აზრებიდან ძნელი არ არის გამოვყოთ ის ძირითადი დებულებანი, რომლებსაც დასავლეთის სახელმწიფოთა მმართველი წრეები თავიანთ პროგრამად სახავენ გერმანიის საკითხში. თავის პროპაგანდისტულ არსენალში მათ ჰპოვეს უამრავი „არგუმენტი“... გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების სასარგებლოდ და მის ჩასაზმელად „ევროპის არმიისა“ და მთელი აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის სისტემაში. მათ სურთ გამოაცოცხლონ ჰიტლერის განადგურებული ფაშისტური არმია, რაც ვითომდა საჭიროა დასავლეთ ევროპის ხალხთა „უშიშროების“ ინტერესებისათვის. რაც შეეხება გერმანიის ერთიანობას, იმპერიალისტური წრეები რეკლამას უწევენ გერმანიაში უცხოეთის სახელმწიფოთა მეთვალყურეობით „თავისუფალი არჩევნების“ მოწყობის იდეას.

ბონის „კანცლერმა“ ადენაუერმა, რომელიც ამ დღეებში გამოვიდა ქრისტიან დემოკრატთა კავშირის (მმართველი რეაქციული პარტია დასავლეთ გერმანიაში) საპარლამენტო ფრაქციაში, უკვე განაცხადა, რომ „სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნები ბერლინის თათბირის ძირითადი საკითხი იქნება“. დასავლეთ გერმანიის რევანშისტების ლიდერს აქტიურად დაუჭირა მხარი ყველა მისმა მეურვემ, როგორც ევროპის კონტინენტზე, ისე ოკეანეს გაღმა.

ადენაუერის რევანშისტული ხროვა, სარგებლობს რა უხვი დახმარებით ოკეანეს გაღმიდან, გაფაციცებით ეწევა ხელახალ შეიარაღებას. ფაქტიურად უკვე შექმნილია გენერალური შტაბი ვერმახტისა, რომელსაც აღორძინებენ, და ჰიტლერელ ოფიცერთა კორპუსმა კვლავ ჩაიცვა სამხედრო ფორმა. დასავლეთ გერმანიის მრავალი ასეული საწარმო გადაყვანილია ომისათვის მუშაობაზე. ბონის ბუნდესტაგში (დასავლეთ გერმანიის პარლამენტის ქვედა პალატა) წარმოებს კამათი კონსტიტუციის ისეთი მიმართულებით შეცვლის საკითხზე, რომ საშუალება მიეცეთ შექმნან შეიარაღებული ძალები საყოველთაო სამხედრო ბეგრის საფუძველზე. ერთი სიტყვით, მზადდება ბირთვი „ევროპის არმიისა“, რომლის შეკოწიწებისთვისაც იმპერიალისტები არც ძალღონეს ზოგავენ, არც სახსრებს.

ბონის „რესპუბლიკაში“ ფაშისტური არმიის აღდგენა მთავარი საფრთხეა ევროპის ხალხების უშიშროებისათვის. რაც შეეხება თვით „თავისუფალ არჩევნებს“ (უცხოეთის სახელმწიფოთა კონტროლით!), იმპერიალისტური წრეები ვარაუდობენ, რომ უცხოეთის კონტროლი ადენაუერის რევანშისტულ ხროვას ხელისუფლების სათავეში ჩააყენებს გაერთიანებულ გერმანიაშიც.

ამავე დროს ყოველი სალად მოაზროვნე ადამიანისათვის სავსებით ნათელი უნდა იყოს, რომ მხოლოდ დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმისა და რევანშიზმის განვითარების თავიდან აცილებაა ის საშუალება, რომელიც გზას გაუხსნის ევროპის უშიშროების პრობლემის გადაწყვეტას, ერთიანი, დემოკრატიული გერმანიის შექმნას.

ევროპის ხალხები, მათ შორის გერმანელი ხალხიც, მხარს უჭერენ იმას, რომ სწორედ ამ გზით გაერთიანდეს გერმანელი ერი, რომელიც იმპერიალისტთა ხრიკების შედეგად ორ ნაწილად არის გაყოფილი.

ჩიხიდან გამოსავლის ძებნაში

უკვე დიდი ხანია ინგლისის პრესა ისე ძლიერ არ გაუღიზიანებია არც ერთ მოვლენას, როგორც გააღიზიანა იგი ბრიტანეთის იმპერიის ქვეყნების იმ ეკონომიური კონფერენციის სრულმა უშედეგობამ, რომელიც გაიმართა სიდნეიში მიმდინარე თვის პირველ ნახევარში. მიმომხილველთა ერთსულოვანი აზრით კონფერენციამ ვერ გადაწყვიტა მის წინაშე მდგომი მთავარი ამოცანა — ეპოვნა „პასუხი კითხვაზე, თუ როგორ შეუძლიათ ერთა თანამეგობრობის ქვეყნებს დაიცვან თავი ამერიკის კრიზისის შემთხვევაში“.

ამ გაღიზიანებას მტკიცე საფუძველი აქვს. არა მარტო ინგლისი, არამედ მსოფლიოს ყველა სხვა კაპიტალისტური ქვეყნებიც ახლა შეშფოთებით შეჰყურებენ მომავალს — ის ეკონომიური სიძნელენი, რომლებსაც ამერიკა განიცდის, ულმობლად ეწევიან კრიზისის უფსკრულისაკენ მათ სახალხო მეურნეობასაც. კრიზისის დარტყმები მით უფრო საგრძნობია, რომ კაპიტალისტური ეკონომიკა მოუმზადებელი აღმოჩნდა ძნელი დროისათვის — ვაჭრობაში ამერიკის დისკრიმინაციულმა პოლიტიკამ დაარღვია ტრადიციული სავაჭრო ურთიერთობა, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, გარდუვალი გახადა დეფიციტი ამერიკის შეერთებული შტატების „უმცროსი პარტნიორების“ საგარეო ვაჭრობაში. მარტო 7 წლის განმავლობაში, 1946 წლიდან 1953 წლამდე, ამერიკელმა ბიზნესმენებმა ჩაიჯიბეს 50 მილიარდი დოლარი — აქტიური სალდო კაპიტალისტურ ქვეყნებთან ვაჭრობაში. „დოლარის შიმშილი“ კაპიტალის ქვეყნებში ქრონიკული გახდა, და მათი ეკონომიკა სავსებით დამოკიდებული გახდა იმაზე, თუ რა კონიუნქტურაა ოკეანეს გაღმა ბირჟებზე.

თუ რა ფასი დაჯდება ამერიკელ ბანკირებთან ეს „კავშირი“ ახლანდელ პირობებში, ამას მოწმობს ინგლისის გაზეთ „ობსერვერის“ აზრი. „თუ დაქვეითება ამერიკის შეერთებულ შტატებში, — წერს იგი, — თუნდაც ორ წელიწადს გაგრძელდა ნარდოლარის ქვეყნების შემოსავალი დაახლოებით 10 მილიარდი დოლარით შემცირდება. ეს ისეთი ზარალია, რომელსაც ბევრი მათგანი ვერ აიტანს“.

სად არის გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან? — ამ საკითხზე ახლა თავს იტეხენ ეკონომისტები კაპიტალისტური სამყაროს ყველა კუთხეში. როგორი იქნება მათი პასუხი, ამას დრო გვიჩვენებს. მაგრამ უკვე ცხადია, რომ მათ არ შეიძლება ჰქონდეთ თავიანთი უფროსი პარტნიორის „დახმარების“ იმედი.

„თუ მსოფლიოს კრიზისი ემუქრება, რა ღონისძიებებს მიმართავენ შეერთებული შტატები? — კითხულობს ინგლისის გაზეთი „დეილი მირორი“. და თვითონვე უპასუხებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „დაიცავენ საკუთარ ინტერესებს, და არა სხვა ქვეყნების ინტერესებს, უპირატესობას მისცემენ საკუთარ მრეწველობას და უარს ეტყვიან დაკვეთებზე ინგლისის ფირმებს“.

ყოველი კაპიტალისტური სახელმწიფო ახლა ცდილობს თავი დაიძვრინოს თავისი პარტნიორების ხარჯზე. სავაჭრო ომი ყველგან უაღრესად მკაცრ ფორმებს იღებს. თავისთავად ცხადია, რომ მთელი მისი სიმძიმე მხრებზე აწვება კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებს. დიდი ფირმები სულ უფრო ხშირად უჩივიან საექსპორტო საქონლის მაღალ თვითღირებულებას და წინადადებას იძლევიან უფრო მეტი „ეკონომია“ გასწიონ (ხელფასზე, შრომის ინტენსიფიკაციის საშუალებით“.

მაგრამ გამოსავალი განა სავაჭრო ომშია? უცხოეთში სულ უფრო მეტი რაოდენობით ვხვდებით საღი გონების ადამიანებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ყველაზე მეტ სარგებლობას მოიტანს არა გაფთრებული კონკურენცია, არამედ ბრძოლა „დახმარების“ ალმით თავისი პარტნიორების ძარცვის ამერიკული პოლიტიკის წინააღმდეგ, ტრადიციული ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობის აღდგენა დემოკრატიული ბანაკის ქვეყნებთან.

ვაჭრობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, აღნიშნავს თავის ბიულეტენში კელნის მსოფლიო მეურნეობის ინსტიტუტი, „სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იღებს არა მარტო დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვისაც“.

თვით ცხოვრება უკარნახებს კაპიტალის ქვეყნებს ერთადერთ შესაძლებელ გამოსავალს იმ სიძნელეებიდან, რომლებმაც მიიყვანა ისინი ამერიკის იმპერიალიზმის დოლარის პოლიტიკისადმი დამორჩილებამდე.

მეგობრობა ამერიკულ ყაიდაზე

ახლოვდება თარიღი მე-10 პანამერიკული კონფერენციის მოწვევისა, რომელიც, როგორც უკვე არაერთი უცხოელი მიმომხილველი აღნიშნავდა, მაინცდამაინც წარმატებას ვერ მოუტანს ამერიკის შეერთებულ შტატებს. ძნელია არ დაეეთანხმოთ ასეთ პროგნოზებს. ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიების მიერ ლათინური ამერიკის ხალხების მოურიდებელი ძარცვა არ შეიძლება უშედეგოდ დარჩეს.

ალბათ სწორედ ამ გარემოებამ აიძულა ამერიკის მმართველი წრეები „კეთილი ნების“ მისია გაეგზავნათ ლათინური ამერიკის ქვეყნებში იმ ანგარიშით, რათა ცდილიყვნენ ოდნავ მაინც აემაღლებინათ იქ თავიანთი პრესტიჟი.

და აი 16 იანვარს სამხრეთისაკენ გაფრინდა ამერიკის თვითმფრინავთა შენაერთი, რომელსაც ვიღაცამ უკვე პათეტიკურად უწოდა „მეგობრობის ფრთები“. მალე გამოირკვა, რომ „მეგობრობას“ „მტკიცე“ საფუძველი აქვს, რადგან ყველა თვითმფრინავი უკანასკნელი სისტემების ავიაგამანადგურებელი აღმოჩნდა, რომლებიც შეიარაღებულია უახლესი ზარბაზნებითა და ტყვიამფრქვევებით, ალბათ იმისათვის, რომ ლათინური ამერიკის მცხოვრებნი უფრო გრძნობიერი გახადონ მეგობრული გრძნობის გამოვლინებაში.

ლათინური ამერიკის ხალხებმა „მეგობრობის ფრთები“ ღირსეულად მიიღეს. მთელ ვეებერთელა კონტინენტზე გაისმის პროტესტი საზოგადოებრიობისა, რომელმაც მყისვე გაიგო, თუ სახელდობრ როგორ მეგობრობაზეა ლაპარაკი. ჩილეში, როგორც გაზეთი „ელ სიგლო“ იუწყება, პარლამენტის რამდენიმე დეპუტატი გამოვიდა სიტყვებით, რომლებშიც მათ გააფრთხილეს თავიანთი ხალხები, რომ „დოლარის ქურუმები“ ადგენენ გეგმებს, „რომელთა მიზანია ლათინური ამერიკის ქვეყნები გადააქციონ მშვიდობისმოყვარე ხალხთა წინააღმდეგ სამხედრო აგრესიის ბაზებად“. არგენტინაში გაიმართა მასობრივი საპროტესტო დემონსტრაციები. ასე იყო ყოველ ქვეყანაში, რომლის ცაშიც გამოჩნდა ამერიკის „კეთილი“ ნების პირველი ნიშნები.

ყოველივე ამის დასკვნა ერთია: ლათინური ამერიკის ქვეყნების ხალხები ადგებიან თავიანთი მჩაგვრელის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის გზას.

ა. ალექსანდროვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 22 იანვარი. (საკდესი). უშიშროების საბჭოს გუშინდელ სხდომაზე კვლავ განიხილავდნენ სირიის საჩივარს ისრაელზე იმის გამო, რომ ისრაელმა დემილიტარიზებულ ზონაში დაიწყო არხის გაყვანის სამუშაოები.

შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა უშიშროების საბჭოს განსახილველად შეიტანეს თავიანთი წინანდელი რეზოლუციის „გადასინჯული“ პროექტი. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ამ „ახალ გადასინჯულ“ პროექტში გათვალისწინებულია კრიტიკა, რომლითაც გამოვიდა ზოგიერთი დელეგატი სამი სახელმწიფოს (შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის) რეზოლუციის თავდაპირველი პროექტის წინააღმდეგ. ინგლისის დელეგატმა ჯებმა სამი სახელმწიფოს ახალ პროექტს უწოდა „კონსტრუქციული“ პროექტი და განაცხადა, რომ იგი საბჭოს ყველა წევრმა უნდა მოიწონოს.

მაგრამ ლიბანის წარმომადგენელმა მალიქმა აღნიშნა, რომ სამი სახელმწიფოს ეგრეთწოდებული გადასინჯული პროექტი, არსებითად, არაფრით არ განსხვავდება რეზოლუციის თავდაპირველი არადამაკმაყოფილებელი პროექტისაგან. მან უშიშროების საბჭოს განსახილველად შეიტანა თავისი რეზოლუციის პროექტი, რომელშიც ნათქვამია, რომ უშიშროების საბჭო „წინადადებას აძლევს შტაბის უფროსს გამოარკვიოს, თუ რამდენად შესაძლებელია ამ დავაში მხარეთა შერიგების მიღწევა და 90 დღის განმავლობაში წარუდგინოს საბჭოს მოხსენება მის ღონისძიებათა შედეგების შესახებ; ადგენს არ მოხსნას ეს საკითხი დღის წესრიგიდან და ღიად დატოვოს იგი განსახილველად“.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ა. ი. ვიშინსკიმ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის დელეგაცია ვერავითარ გაუმჯობესებას ვერ ხედავს სამი სახელმწიფოს რეზოლუციის „გადასინჯულ“ პროექტში, რაც შესაძლებლობას მისცემდა მას შეეცვალა უარყოფითი პოზიცია ამ პროექტისადმი, რის შესახებაც მან განაცხადა უშიშროების საბჭოს წინანდელ სხდომებზე.

ა. ი. ვიშინსკიმ ყურადღება მიაქცია იმას, რომ როგორც სამი სახელმწიფოს რეზოლუციის წინანდელი პროექტის მე-11 პუნქტში, ისე სამთა რეზოლუციის „გადასინჯული“ პროექტის მე-10 პუნქტშიც სრულიად უგულებელყოფილია აგრეთვე ყველა იმ საკითხის მოწესრიგების მნიშვნელოვანი პირობა, რომლებიც დაკავშირებულია დემილიტარიზებული ზონის ამოცანებთან და მიზნებთან და, კერძოდ, სირიასა და ისრაელს შორის გაჩაღებულ დავასთან, რომელსაც ამჟამად განიხილავს უშიშროების საბჭო, როგორც იმის შესაძლებლობას, რომ ყოველგვარი ღონისძიება განხორციელდეს მხოლოდ სირიისა და ისრაელის თანხმობით, ესე იგი არხის საკითხისა და დემილიტარიზებული ზონის მდგომარეობის მთელი საკითხის მოწესრიგებით დაინტერესებული ორივე მხარის თანხმობით. ამავე დროს, მიუხედავად ამ აშკარა და დიდმნიშვნელოვანი პრინციპისა, იმ პროექტის მე-10 პუნქტში, რომელიც ამჟამად სამმა სახელმწიფომ შემოიტანა, ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი სწორედ ამ პრინციპის შესახებ. მეორე მხრივ, ის ფართო რწმუნებანი, რომლებსაც სამთა რეზოლუციის პროექტი ანიჭებს დაზავების პირობების შესრულების მეთვალყურე ორგანიზაციის შტაბის უფროსს, მივყავართ სირიასა და ისრაელს შორის დავის მოწესრიგების არასწორი გზით.

შემდეგ საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ სამთა პროექტის მე-10 პუნქტში გაურკვეველი ფორმით არის ნათქვამი, რომ საჭიროა „უზრუნველყოფილ იქნას ცალკეულ პირთა უფლებები“. ვინ არიან ეს „ცალკეული პირნი“, იკითხა ა. ი. ვიშინსკიმ. ხომ არ შეიძლება, რომ ამ „ცალკეულ პირებს“ ამოეფარონ მთელი სააქციო კომპანიები, ტრესტები და მონოპოლიები? ვფიქრობ, რომ ეს სავსებით შესაძლებელია. ბოლოს, განაცხადა ა. ი. ვიშინსკიმ, როგორც სამი სახელმწიფოს რეზოლუციის წინანდელ, ისე ახალ პროექტშიც ყველა პუნქტი, გარდა მე-10 პუნქტისა, არ შეეხება ამ საკითხს, რომელსაც ახლა განიხილავს უშიშროების საბჭო. მაშასადამე, სამთა რეზოლუციის პროექტში არსებითად კვლავ არაფერი არ არის ნათქვამი იმ საკითხზე, რომელსაც უშიშროების საბჭო განიხილავს.

საფრანგეთის დემოკრატიული საზოგადოებრიობის გამარჯვება

მარსელ დიუფრიში საპყრობილიდან გაათავისუფლეს

პარიზი, 22 იანვარი. (საკდესი). პარიზის სააპელაციო სასამართლოს საგამომძიებლო პალატის გადაწყვეტილებით, გუშინ საღამოს დროებით გაათავისუფლეს შრომის საყოველთაო კონფედერაციის ადმინისტრაციული კომისიის წევრი და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი მარსელ დიუფრიში.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, მარსელ დიუფრიში 16 იანვარს დააპატიმრეს 1952 წლის ოქტომბერში გამოცემული ბრძანების საფუძველზე. დიუფრიშს ბრალად სდებენ „სახელმწიფოს საგარეო უშიშროების ხელყოფას“, ესე იგი იმ ყბადაღებულ „შეთქმულებაში“ მონაწილეობას, რომელიც შეთითხნეს 1952 წელს საფრანგეთის კომუნისტური პარტიისა და სხვა პროგრესული ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.

გაზეთ „ლუმანიტეს“ დიუფრიშის განთავისუფლება საფრანგეთის დემოკრატიული საზოგადოებრიობის ახალ გამარჯვებად მიაჩნია.

ეიზენჰაუერის წერილი კონგრესისადმი 1954-55 საფინანსო წლის ბიუჯეტის შესახებ

ვაშინგტონი, 22 იანვარი. (საკდესი). 20 იანვარს პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა კონგრესს გაუგზავნა წერილი ამერიკის შეერთებული შტატების ბიუჯეტის პროექტის შესახებ 1954-55 საფინანსო წლისათვის, რომელიც იწყება 1 ივლისს. ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს შემოსავალს 62.642 მილიონი დოლარის ოდენობით და გასავალს 65.570 მილიონი დოლარის ოდენობით. ბიუჯეტის დეფიციტი დაგეგმილია 2.928 მილიონი დოლარის ოდენობით; სახელმწიფო ვალის თანხა 1954-55 საფინანსო წლის დასასრულს მიაღწევს 273 მილიარდ დოლარს; ამ ვალის მარტო პროცენტები წლის მანძილზე შეადგენს 6.875 მილიონ დოლარს, ე. ი. ბიუჯეტის მთელი გასავლის ნაწილის 10,5 პროცენტს.

ეიზენჰაუერი თავის წერილში სთხოვს კონგრესს, რომ ნება დართოს გადიდდეს სახელმწიფო ვალის დაწესებული ზღვარი.

წარდგენილი პროექტის თანახმად ბიუჯეტის შემოსავალს უზრუნველყოფს უმთავრესად მოსახლეობის გადასახადები. გადასახადები ხელფასზე და მოსახლეობის შემოსავალზე შეადგენს 30.233 მილიონ დოლარს, ხოლო გადასახადები ფართო მოხმარების საქონელზე — 10.239 მილიონ დოლარს.

სამხედრო ხარჯები ბიუჯეტის უდიდეს ნაწილს ნთქამს. მაგალითად, პირდაპირი სამხედრო ხარჯები დაპროექტებულ ბიუჯეტში შეადგენს 44.860 მილიონ დოლარს მიმდინარე წლის 48.721 მილიონ დოლართან შედარებით.

წერილში აღნიშნულია, რომ ბიუჯეტი მეტ ხარჯებს ითვალისწინებს სამხედრო ავიაციისათვის, „ვიდრე რომელიმე წელიწადში მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ“. რაც შეეხება ასიგნობებს უცხო სახელმწიფოთა შეიარაღებისათვის, ამაზე წერილში ნათქვამია, რომ ამ ხარჯების, ისევე როგორც ატომის ენერგიის კომისიის საჭიროებისათვის გათვალისწინებული ხარჯების „დონე ყველაზე მაღალი იქნება ორივე პროგრამის განხორციელების დაწყებიდან“.

ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს მოსახლეობის სოციალურ-საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის ხარჯების მკვეთრ შემცირებას. მაგალითად, ასიგნობანი სოციალური უზრუნველყოფის, საყოფაცხოვრებო საჭიროებისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის მიმდინარე წელთან შედარებით შემცირდება 860 მილიონი დოლარით (22,6 პროცენტით), საბინაო და კომუნალური მშენებლობისათვის — 454 მილიონი დოლარით (თითქმის 20 პროცენტით). ასიგნობანი სოფლის მეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო რესურსებისათვის წინა წელთან შედარებით შემცირდება 1.335 მილიონი დოლარით (16,5 პროცენტით). ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს შემცირდეს ისედაც უმნიშვნელო ხარჯები სახალხო განათლებისათვის: შარშანდელი 278 მილიონი დოლარიდან 223 მილიონ დოლარამდე, ესე იგი 20 პროცენტით. მთლიანად სოციალურ-საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის დაპროექტებულია გამოყოს 1.985 მილიონი დოლარით ნაკლები, ვიდრე მიმდინარე საბიუჯეტო წელს.

დანიის მთავრობა ადენაუერის გულის მოგების მიზნით საპყრობილეებიდან ათავისუფლებს სამხედრო დამნაშავეებს, რომლებიც ჰიტლერული ოკუპაციის დროს ფაშისტებთან თანამშრომლობდნენ. 13.500 სამხედრო დამნაშავიდან საპყრობილეში დატოვებულ იქნა მხოლოდ 60 კაცი, რომელთა განთავისუფლება გათვალისწინებულია უახლოეს დღეებში.

გაზეთებიდან.



ჰეკერუპი (დანიის იუსტიციის მინისტრი) — ეს ლამაზი წრუწუნები აბა რა დასაჭერი იყვნენ? წადით, ჩემო პატარებო, წადით და ძველებურად ინავარდეთ!

ნახატი ი. ქოქიაშვილისა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომა

ბერლინი, 22 იანვარი. (საკდესი). გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა“ გამოაქვეყნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან არსებული პრესის. უწყების ცნობა, რომ გუშინ გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომა.

ამ სხდომაზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტევოლმა განაცხადა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას განუწყვეტლივ მოსდის დეპეშები, წერილები და განცხადებები, რომლებშიც გერმანელი ხალხის ყველა ფენის წარმომადგენლები იმედს გამოთქვამენ, რომ ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი დადებით შედეგებს მიაღწევს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის საქმეში.

ლესინგის დაბადების 225 წლისთავის გამო მინისტრთა საბჭომ დააწესა ლესინგის სახელობის პრემია დიდი გერმანელი პოეტის ხსოვნის აღსანიშნავად, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა გერმანულ ეროვნულ კულტურაში. პრემიის მინიჭება მოხდება ლიტერატურის, ხელოვნებისა და კრიტიკის თვალსაჩინო ნაწარმოებისათვის.

სასამართლო დევნა დასავლეთ გერმანიაში

ბერლინი, 22 იანვარი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო ჰანოვერიდან იუწყება, ლუნებურგის სასამართლომ 23 წლის ჰელმუტ რესივს მიუსაჯა 2 წლის პატიმრობა იმისათვის, რომ იგი, იყო რა თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის ერთ-ერთი აქტიური მუშაკი, ყველგან გამოდიოდა დასავლეთ გერმანიის არმიაში ახალგაზრდობის განზრახული იძულებითი გაწვევის წინააღმდეგ.

ჰამბურგის სასამართლომ ბაირეიტელ მუშას 43 წლის ვილჰელმ ფრიდრიხს ბუნდესტაგის არჩევნების წინ ფურცლების გავრცელებისათვის 3 თვის პატიმრობა მიუსაჯა.

ფლენსბურგის სპეციალურმა პოლიტიკურმა სასამართლომ კარლ-გენიც ციმერმანს სამი კვირის პატიმრობა მიუსაჯა იმისათვის, რომ იგი აქტიურად მუშაობდა თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირში.

სპორტის ახალი ამბები

საბჭოთა სპორტსმენების წარმატება სტოკჰოლმში

სტოკჰოლმი, 23 იანვარი. (საკდესი). გუშინ სტოკჰოლმში გრძელდებოდა საბჭოთა და შვედ მოჭიდავეთა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში.

პირველ წყვილში გამოვიდნენ ქვესაშუალო წონის მოჭიდავეები — მუხთარ დადაშევი (სსრ კავშირი) და პერ ბერლი (შვეცია). ქულების მიხედვით გაიმარჯვა დადაშევმა.

საშუალო წონაში გამოვიდნენ გ. სხირტლაძე (სსრ კავშირი) და გრენბერგი. გაიმარჯვა აგრეთვე საბჭოთა მოჭიდავემ.

ქვემძიმე წონაში ბორის კულაევმა (სსრ კავშირი) ქულების მიხედვით გაიმარჯვა შვედ სპორტსმენ კარლ-ერიკ ნილსონზე.

მძიმე წონის მოჭიდავეთა იოჰანეს კოტკასის (სსრ კავშირი) და ბენგტ ფალკვისტის შეხვედრაში ქულების მიხედვით გაიმარჯვა საბჭოთა სპორტსმენმა.

უმჩატეს წონაში ცალქალამანიძემ (სსრ კავშირი) დაამარცხა შვედი მოჭიდავე ბ. იუჰანსონი.

მჩატე წონის მოჭიდავეთა ვ. გიგიაძის (სსრ კავშირი) და ედვინ ვესტერბიუს შეხვედრაში ქულების მიხედვით გაიმარჯვა შვედმა მოჭიდავემ.

მსუბუქ წონაში ელმარ რუნგემ (სსრ კავშირი) დაამარცხა ამ წონის კატეგორიის მსოფლიო ჩემპიონი ულე ანდერბერგი.

საშუალო წონის მოჭიდავეთა გ. კარტოზიას (სსრ კავშირი) და ბენგტ ლინდბლადის (შვეცია) შეხვედრაში ქულების მიხედვით გაიმარჯვა საბჭოთა მოჭიდავემ.

ქვემძიმე წონაში ო. კანდელაკმა (სსრ კავშირი) ქულების მიხედვით დაამარცხა ვიკინგ პალმი, რომელიც ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონია ამ წონის კატეგორიაში.

მძიმე წონაში არსენ მეკოკიშვილმა (სსრ კავშირი) გაიმარჯვა ბერტილომ ანტონსონზე, რომელიც აგრეთვე შვეციის უძლიერესი მოჭიდავე და საერთაშორისო ასპარეზობათა მრავალგზის მონაწილეა.

საბჭოთა და შვედ მოჭიდავეთა შორის სამი დღის საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრების შედეგად საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს 27 გამარჯვება და წააგეს 5 შეხვედრა.

შვეციის პრესა საბჭოთა სპორტსმენების წარმატების შესახებ სტოკჰოლმში

სტოკჰოლმი, 23 იანვარი. (საკდესი). შვეციის გაზეთები ბეჭდავენ ვრცელ ანგარიშებს თავისუფალ ჭიდაობაში საბჭოთა და შვედი მოჭიდავეების საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრების მეორე დღის შედეგების შესახებ.

სპორტის ყველა მიმომხილველი ხაზგასმით აღნიშნავს საბჭოთა სპორტსმენების უპირატესობას. გაზეთი „სვენსკა დაგბლადეტი“ წერს: „რუსები ცელავენ მოწინააღმდეგეებს“.

შეჯიბრების მეორე დღეს დამარცხების შემდეგ, გაზეთები ნაღვლიანად აღნიშნავენ, რომ იმედები არ გამართლდა. „შვედთა იმედით აღსავსე ვარაუდები დაიმსხვრა საბჭოთა მოჭიდავეებთან თავისუფალ ჭიდაობაში შეჯიბრების მეორე დღეს, — წერს გაზეთი „სტოკჰოლმსტიდნინგენი“.

გაზეთები განსაკუთრებით აღნიშნავენ ულე ანდერბერგის დამარცხებას, რომელიც, როგორც ცნობილია, მსოფლიო ჩემპიონია მსუბუქ წონაში. იგი დაამარცხა ახალგაზრდა საბჭოთა მოჭიდავემ ს. გაბარაევმა.

გაზეთ „დაგენს ნიუჰეტერის“ მიმომხილველი, აღნიშნავს რა გაბარაევის წარმატებას, წერს, რომ მან ანდერბერგი დაამარცხა სულ ოთხ წუთში. „რუსებთან შეჯიბრება, — განაგრძობს მიმომხილველი, — სასიხარულო როდი ხდება. მიუხედავად პირველი დღის შეხვედრების შედეგისა, ერთხანს ვფიქრობდით, რომ დიდი დამარცხება შემდეგ არ იქნებოდა. ახლა ორი დღის შეხვედრების შედეგის შემდეგ, როცა ანგარიში 4:18 გახდა, იმედიც აღარ რჩება“.

ზამთრის რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში მიმდინარეობდა მოტოგადარბენა მარშრუტით თბილისი — კიევი, რომელიც რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს მიეძღვნა. ამ დღეებში საქართველოს მოტომრბოლთა კოლონა კიევში ჩავიდა. უკრაინის დედაქალაქის მშრომელებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს მოტოგადარბენის მონაწილეებს.

სურათზე: საქართველოს მოტომრბოლები კიევში ბოგდან ხმელნიცკის მოედანზე.

ფოტო მ. მელნიკისა და ს. ხიჩევისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ჭადრაკი

სსრ კავშირის XXI ჩემპიონატი

კიევი, 22 იანვარი. (საკდესი). მეათე ტურის ცენტრალური შეხვედრა იყო გელერ-ტაიმანოვის პარტია. გადადებულ პარტიაში ტაიმანოვს უპირატესობა აქვს.

სიცილიური დაცვა გაითამაშეს სუეტინ-ბივშევის პარტიაში. თეთრებმა ენერგიული იერიში მიიტანეს მეფეზე, მნიშვნელოვან მატერიალურ უპირატესობას მიაღწიეს და გაიმარჯვეს.

ყაიმით დამთავრდა ხოლმოვ-პეტროსიანის პარტია.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

მეათე ტურის შემდეგ წინ არიან კორჩნოი — 6,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, პეტროსიანი — 6,5 ქულა.

დღეს გაითამაშებენ გადადებულ პარტიებს.

თბილისის პირველობაზე

თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში რამდენიმე დღეა გრძელდება შეჯიბრება ჭადრაკში ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის 1954 წლის პირველობაზე. საქალაქო ჩემპიონატში მონაწილეობას იღებს 16 მოჭადრაკე, მათ შორის 4 ოსტატობის კანდიდატი და ნახევარფინალში გამარჯვებული 12 პირველთანრიგოსანი.

დღემდე გათამაშებულია 5 ტური. მე-5 ტური გაიმართა 22 იანვარს. საინტერესოდ მიმდინარეობდა თ. კალატოზიშვილისა და ოსტატობის კანდიდატის ბ. გურგენიძის პარტია, რომელიც 25-ე სვლაზე ბ. გურგენიძის გამარჯვებით დამთავრდა. ა. ჯაკობიამ მოუგო ი. ვეტოხინს. ოსტატობის კანდიდატების თ. გიორგაძისა და ა. ბუსლაევის, აგრეთვე გ. მაჭავარიანისა და ჰ. არნშტეინის პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ხუთი ტურის შემდეგ წინ არის ა. ჯაკობია, რომელსაც 3½ ქულა აქვს. გუშინ მოეწყო გადადებული პარტიების გათამაშება.

მოკლედ

ბაკურიანში ემზადებიან მომავალი პასუხსაგები შეხვედრებისათვის. აქ იანვარსა და თებერვალში გაიმართება კოლმეურნე მოთხილამურეთა რესპუბლიკური ჩემპიონატი და საქართველოს პირველობის გათამაშება. ახლახან ბაკურიანში დამთავრდა მოსწავლეთა შეჯიბრება თბილისის პირველობაზე სათხილამურო რბენაში, სწრაფდაშვებაში, სლალომში. კარგი შედეგი მოიპოვეს შ. ცნობილაძემ, ჯ. თაქთაქიშვილმა, მ. ხახუტაშვილმა და სხვ.

• • •

თბილისის საჭიდაო დარბაზში გაიმართა სასპორტო საზოგადოებათა და ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების კლასიკურ მოჭიდავეთა სათანრიგო ასპარეზობა 100-მდე სპორტსმენის მონაწილეობით. სპორტსმენთა დიდმა ნაწილმა ჭიდაობის კარგი ტექნიკა გამოამჟღავნა და თანრიგი აიმაღლა.

• • •

თბილისში ახალი საფეხბურთო სეზონი გაიხსნება 21 თებერვალს. გათამაშდება სეზონის გახსნის ჯილდო. შეჯიბრების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით მოეწყო მსაჯთა მოსამზადებელი სემინარი, რომლის თეორიული ნაწილი გაიარა სხვადასხვა ფიზკულტურული კოლექტივის 40-მდე წარმომადგენელმა.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების რესპუბლიკური სემინარი

ა. წ. 26 იანვრიდან ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში დაიწყება საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების 7-დღიანი თეორიული სემინარი.

სემინარის მუშაობის დასაწყისი დილის 10 საათიდან.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

24 იანვარს	დღის 12 საათზე ჯ. ვერდი — რიგოლეტო საღამოს რიმსკი-კორსაკოვი — მეფის საცოლე
26 იანვარს	ჟ. ბიზე — კარმენი

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

24, 25 იანვარს

უკანასკნელი გასტროლები

რსფსრ სახალხო არტისტის

ვლადიმერ დუროვისა

დუროვის რკინიგზა

დიდი საცირკო წარმოდგენა

3 განყოფილებად.

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

კვირას, 24 იანვარს.

დღის 2 საბავშვო წარმოდგენა

დასაწყისი 1—12 ს., 11—3 ს.

მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

ბილეთები იყიდება საცირკის სალაროებში და რუსთაველის პროსპ. № 1, 24, პლეხანოვის პროსპ. № 97, ჩელუსკინელების ქ. № 31.

სალაროები ღიაა დღის 12 საათიდან, კვირაობით დილის 10 საათიდან.

დღეს თბილისის თეატრებსა და კინოებში

(სპექტაკლების დასაწყისი 8 საათზე)

რუსთაველის სახელობის — დონ სეზარ დე ბაზანი (დილას), ღალატი (საღამოს), მარჯანიშვილის სახელობის — ოჯახის ღირსება (რკინიგზელის სახლში), გრიბოედოვის სახელობის — გვარს ნუ დავასახელებთ (დილას), თოლია (საღამოს), მუსიკალური კომედიის — ტრემბიტა (დილა-საღამოს), მოზარდ მაყურებელთა ქართული — კომბლე (აბონემენტი № 8, 12 ს.), სურამის ციხე (აბონემენტი № 23, 7 ს.) მოზარდ მაყურებელთა რუსული — უბის წიგნაკი (10 ს., 2 ს. 30 წ.), სანიტარული კულტურის — მცდარ გზაზე (11 ს. 30 წ.), შვილი, თოჯინების ქართული — ჩექმებიანი კატა (12 ს.), ზარმაცის სიზმარი (3 ს.).

• • •

რუსთაველის სახელობის — ისინი ხუთნი იყვნენ, კომკავშირელი, ოფიცერთა სახლი — ლენინი ოქტომბერში, ამირანი — ლენინი 1918 წელს, ოქტომბერი — ბალტიკის დეპუტატი, სპარტაკი — ბაქოელები, თბილისი — თოფიანი კაცი, კოლხიდა, დიდუბე — ამხანაგის ღირსება, ისანი — ცარიცინის დაცვა, 26 კომისრის — ზოია, კოლმეურნე — ახალგაზრდა გვარდია, ვოროშილოვის სახელობის კლუბი — მშვერავის გმირობა, პლეხანოვის სახელობის კლუბი — კონსტანტინე ზასლონოვი.

ქ. თბილისის მოსახლეობის და ორგანიზაციების საყურადღებოდ

საქსარეწვტქკავშირის სისტემაში შემავალი არტელი „გრუზლესპრომი“

აწარმოებს ყოველგვარი ავეჯის შეკეთებას სახელოსნოებში, აგრეთვე მოსახლეობის ბინებში ადგილზე მისვლით.

არტელი აგრეთვე აწარმოებს მოსახლეობისა და ორგანიზაციებისაგან ძველი ავეჯის შესყიდვას და რეალიზაციას.

შემსყიდველი მაღაზია: საბურთალოს ბაზარი.

ავეჯის შემკეთებელი სახელოსნოები:

1. კიროვის რაიონი — ენგელსის ქ. № 5, ივანიძის ქ. № 36.
2. კალინინის რაიონი — წერეთლის ქ. № 1.
3. სტალინის რაიონი — ტელმანის ქ. № 15.
4. მოლოტოვის რაიონი — კლარა ცეტკინის ქ. № 20 და ურიცკის ქ. № 16.
5. ლენინის რაიონი — საბჭოს ქ. № 216.
6. 26 კომისრის რაიონი — ეჩმიაძინის ქ. № 33.

ანგარიშსწორება შეიძლება როგორც ნაღდ ანგარიშზე, ისე გადარიცხვის საშუალებით.

არტელის გამგეობის მისამართი: ქ. თბილისი, კიროვის რაიონი, ივანიძის ქ. № 23.

მოქალაქე ნიკოლოზ იგორის-ძე თიგიშვილმა, მცხოვრებმა გარეუბნის რაიონის სოფელ დიდ ლილოში, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე თამარ სიკოს ასულ კასრელიშვილთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის გარეუბნის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლო.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარგამომცემლობის წიგნით ვაჭრობის სამმართველოს „საქწიგნის“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ შ. მებურიშვილს მისი დედის ვერა ქაიხოსროს ასულ მებურიშვილის გარდაცვალების გამო.

მეუღლე ელენე, შვილები მერი, ცაგრინა, ცოლისდები აგრაფინა, ნატაშა, ქალია, ქვისლები ტ. ლეჟავა, ბ. გამყრელიძე, ცოლისდისშვილები ცაგუნა, თამარ, ზინა, თინა, გივი ოჯახებით იუწყებიან ალექსანდრე ახლანისძე ჯაფარიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-I ქიათურაში.

ვერა და მიხეილ ციხისთავები იუწყებიან შალვა ივანეს-ძე ქავთარაძის გარდაცვალებას.

შვილები შალვა, ვლადიმერ, რძალი ვენერა, შვილიშვილები ლონდა, ლეილა, მედეა, მული სონია, მაზლები სერგო, თომა მებურიშვილები, ძმისწული შ. ნიჟარაძე ოჯახებით იუწყებიან ვერა ქაიხოსროს ასულ ნიჟარაძე-მებურიშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25-I, 8 ს. გამოსვენება 26-I, 4 ს. პაპანინის ქ. № 3.

ნინო, რევაზ ყაზახაშვილები, ელენე, მარო, გერმან კვანჭახაძეები, სოფიო, კოტე მაჩაბლები, ანეტა, დავით ბაგრატიშვილები, თამარ, მიხეილ ერისთავები, ქეთევან, ალექსანდრე ჯიშიაშვილები შვილებით იუწყებიან ბიძის და პაპის ილია იორდანის-ძე ნოზაძის გარდაცვალებას.

თამარ და კონსტანტინე მოდებაძეები, შუშანა ნადარეიშვილი ოჯახებით, ნადია ნადარეიშვილი და ცაცა დადიანი იუწყებიან რძლის და ბიცოლას იულია დავითის ასულ ერისთავ-ნადარეიშვილის გარდაცვალებას.

ძმები პავლე, შალვა კაჟარაძეები, დები ლიზა ფერაძე, მაშო ჰყოიძე, ნინო ქუთათელაძე, ძმისწული ზინა კობალავა ოჯახებით იუწყებიან ინჟინერ საშურა სილოვანის-ძე სიამაშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-I ქ. ბათუმში, გამოსვენება ბინიდან, ლენინის ქ. № 36.

შვილები გაბრიელ, პატკუ, რძალი თამარ, შვილიშვილები დოდო, ნუგზარ, არსენ კალანდაძეები იუწყებიან არსენ გიორგის-ძე კალანდაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-I, 3 ს. ჩოხატაურში.

მეუღლე მარიამ, შვილები დაგმარა, გივი თურმანიძეები, დები მარიამ თურმანიძე, პელაგია მთვარაძე, თამარ მეტრეველი იუწყებიან ალექსანდრე იოსების-ძე თურმანიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25-I, 8 ს. ბორჯომის ქ. № 9.

მეუღლე თამარ, შვილები ლიზა, მარო, სიძე ლევან გელაშვილი, რძალი მარო, შვილიშვილები თენგიზ, ლიანა, რომეო, ციალა იუწყებიან ნიკო გიორგის-ძე მირიანაშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება 24-I, 3 ს. გრიბოედოვის ქ. № 4.

შვილები ილია, ვარლამ, კატო, აკაკი, ანა, რძლები ნინო, ვერა, სიძე დ. მარდალეიშვილი, შვილიშვილები ეთერ, თამარ ოჯახებით, ლეილა, ნატო, მამუკა, მერი, ჯულიეტა, ომარ, ნოდარ იუწყებიან ნატალია სტეფანეს ასულ კაკაბაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-I პატარა კუხში (წულუკიძის რ.).

შვილი ეროდიონ, რძლები თამარ, მერი, შვილიშვილები სპარტაკ, ლუიზა, ლუდმილა ქვანიები იუწყებიან პელაგია ბექაიას ასულ ქვანიას გარდაცვალებას. დაკრძალვა 28-I სოფ. ეკში (ცხაკაიას რაიონი).

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14 ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81 84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვისა და სოფლის მეურნეობის — 3-20-43 კულტურის და ყოფაცხოვრების ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის უცხოეთის ინფორმაციისა და კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 00616

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“